მოდერნიზაცია და დემოკრატიზაცია

1. საზოგადოება და სახელმწიფო

საზოგადოების მენტალობა

ქართული საზოგადოებისათვის დამახასიათებელია ტრადიციული, გარკვეულწილად პატრიმონიალური აზროვნების სტილი, რითაც იგი ხმელთაშუაზღვისპირეთის საზოგადოებებთან პოულობს საერთოს: მაღალია სახელმწიფო და ფორმალიზებული ინსტიტუტებისადმი უნდობლობის ხარისხი; უპირატესობა შედარებით ტრადიციულ, არაფორმალურ ურთიერთობებს ენიჭება.
საზოგადოების აბსოლუტური უმეტესობა სახელმწიფოებრიობის ცნებას მეტად გულგრილად ეკიდებოდა და ცხოვრებისეულ მიზნად პიროვნულ ან ახლობელთა კეთილდღეობაზე ზრუნვა მიაჩნდა. და ვინაიდან ინდივიდუალიზმის გამოვლენა მხოლოდ არაფორმალური ურთიერთობების საშუალებით მიმდინარეობდა, სახელმწიფო სისტემის მოტყუება და კანონისთვის გვერდის ავლა სრულებითაც არ ბადებდა არაეთიკურობის განცდას.
ისტორიული განვითარების სპეციფიკიდან და შესაბამისი მენტალობიდან გამომდინარე, კლიენტელური ურთიერთობები საქართველოში ასრულებდა და ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში.
საბჭოთა სისტემას ამ მხრივ არაფერი შეუცვლია. აღნიშნულ პერიოდში წინა პლანზე განასაკუთრებით წამოიწია პარასაზოგადოების მნიშვნელობამ - ანტისახელმწიფოებრივი აზროვნება ("ქურდული გაგება", კლანური აზროვნება, "ფულის მკეთებლობა") პიროვნებისა თუ სოციალური სტრატის პრივილეგირებულობის მაჩვენებლად იქცა.
სახელმწიფო სტრუქტურების ძლიერების პირობებში, როცა რეალური, კანონისმიერი წინააღმდეგობა შეუძლებელი იყო, სახელმწიფოს მიერ ჩადენილი ძალადობისადმი დაპირისპირების ერთადერთ საშუალებას დისიდენტობა წარმოადგენდა.
ეროვნულ რესპუბლიკებში, და მათ შორის საქართველოში, აღნიშნული მოძრაობა ქმნიდა დასავლური დემოკრატიული ღირებებულებისა და ეთნიკური განვითარების გარკვეულ ეტაპზე ჩამოყალიბებული მითოსური აზროვნების ეკლექტიკურ ნარევს. პიროვნული თავისუფლების შეზღუდვას თან ერთვოდა ეროვნული დისკრიმინაციის მწვავე გრძნობა. ფაქტია, რომ საქართველოში სსრკ სრულიადაც არ მოიაზრებოდა, როგორც სამშობლო.
დღევანდელი ქართული საზოგადოება სათავეს საბჭოური პერიოდიდან იღებს. თუ გავიხსენებთ, რომ საბჭოთა ადამიანის ინდივიდუალობის რეალიზება, მკაცრად სისტემატიზებული ურთიერთობის ჩარჩოებში, მხოლოდ პირად ურთიერთობათა სფეროში ხდებოდა, ადვილი გასაგები გახდება ის გარემოება, რომ დღესაც კლიენტელურ ურთიერთობებს საზოგადოებრივ მენტალობაში საკმაოდ ღრმა ფესვები გააჩნია.
საბჭოური სისტემის კრიზისის დაწყებისას, ისეთ პირობებში, როცა არ არსებობდა ორგანიზაციულად გაფორმებული პოლიტიკური პლურალიზმი, დისიდენტური მოძრაობა კომუნისტური რეჟიმის ერთადერთ ალტერნატივად წარმოჩნდა.

პოსტსაბჭოური აზროვნების წესისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ერთი გარემოება - მოსახლეობის უნდობლობა და საუკეთესო შემთხვევაში ინდეფერენტიზმი კანონებისადმი. ეს ბუნებრივიცაა, საბჭოურ სისტემაში სახელმწიფო და კანონები აპრიორი უარყოფით განცდებს ბადებდა. კანონი აღიქმეოდა არა ცალკეული პიროვნებისა თუ სხვადასხვა სოციალური სტრატის დამცველ, არამედ დამსჯელ მექანიზმად.
საბჭოთა კავშირის დაშლისა და ახალი სახელმწიფოების წარმოშობის პროცესმა, მართალია დისიდენტური აზროვნების წესშიც შეიტანა გარკვეული კორექტივები, მაგრამ დაპირისპირება კანონსა და რეალობას შორის მაინც დარჩა.
აზროვნების ასეთი სტილისათვის დამახასიათებელი პოლარიზება ყველაზე კარგად პოსტ-საბჭოთა საქართველოს სამივე ხელისუფლების ძირითად სლოგანებში პოულობს გამოხატულებას: ჯერ დამოუკიდებლობა თუ ჯერ დემოკრატია (გამსახურდია), ჯერ სტაბილიზაცია თუ ჯერ დემოკრატია (შევარდნაძე), ჯერ მოდენრიზაცია თუ ჯერ დემოკრატია (სააკაშვილი).
დემოკრატიზაციის დილემის არსებობა თავისთავად ამ უკანასკნელის მოთხოვნის არარსებობაზე მიუთითებს. აღნიშნულის კლასიკურ მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ ქართველი ლიბერტარიანელებისა თუ მოდერნიზაციის მომხრეთა მარადიული კითხვა: ვიოცნებოთ ქართველ პინოჩეტზე თუ შევეგუოთ ცუდ დემოკრატიას.
"ვარდების რევოლუციის" იდეოლოგიური საფუძველი სწორედ სწრაფი რეფორმები და მოდერნიზაცია იყო (მაგალითისათვის თავის დროზე გახმაურებული პროგრამის - "10 ნაბიჯი თავისუფლებისაკენ" ურთიერთგამომრიცხავი პოსტულატები გამოდგება).
თუმცა, ამ შემთხვევაში აუცილებლად გასათვალისწინებელია ზ.ბზეჟინსკის თეზისი იმის თაობაზე, რომ ავტორიტარიზმი და ტოტალიტარიზმი ყველგან, ყველა ქვეყანასა და ყველა ეპოქაში სწორედ მოდერნიზაციისა და "დაჩქარებული დაწევის" ლოზონგით მოდის ხელისუფლების სათავეში.

სახელმწიფოს მშენებლობა

1988-89 წლებში, სსრკ ახალი ხელმძღვანელობის მიერ წამოწყებული რეჟიმის ლიბერალიზაციის (ანუ "გარდაქმნის და საჯაროობის" პოლიტიკის) ტალღაზე საქართველოში ჩამოყალიბდა მასობრივი და საკმაოდ რადიკალურად განწყობილი ეროვნული მოძრაობა, რომელიც თავის ძირითად მიზნებად სსრკ-გან გამოყოფას და კომუნისტური პოლიტიკური სისტემის ნგრევას ისახავდა. მოკლე ხანში ეს მოძრაობა, თუმცა მრავალ ფრაქციად დაქსაქსული, წამყვან პოლიტიკურ ძალად იქცა.
1991 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველ მრავალპარტიულ არჩევნებზე ეროვნული მოძრაობის ყველაზე ძლიერმა ფრთამ - ბლოკმა "მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო" დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა და საპარლამენტო მანდატების თითქმის 70 პროცენტს დაეუფლა. აპრილში შეიქმნა პრეზიდენტის ინსტიტუტი, ხოლო პირველ პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია იქნა არჩეული.
გამსახურდიას ხელისუფლების მიღწევებიდან აღსანიშნავია:

- ქართულ საზოგადოებაში სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეა (თუნდაც მითოლოგიზირებული და ეთნოცენტრული ნაციონალიზმით გაჯერებული) გასცდა ინტელექტუალთა და დისიდენტთა ვიწრო წრეს და მასობრივი ხასიათი მიიღო.
- მოსახლეობაში გაქრა შიშის სინდრომი დამოუკიდებლობის მიმართ. ის, რაც ჯერ კიდევ ათი წლის წინ ოცნებად მიიჩნეოდა, მიღწევად რეალობად იქცა.
- საერთო ნაციონალური რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით გამოცხადდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.
- დაიწყო საზოგადოების (თუნდაც ინფანტილური) გააქტიურება და მიღწეულ იქნა სოციალური კაპიტალის მაღალი დონე.

გამსახურდიას ხელისუფლების წარუმატებლობები:

- საზოგადოებაში და ახლად წარმოქმნილ პოლიტიკურ ელიტაში დაიწყო ინფანტილური და ზომაზე მეტი პოლიტიზაციის პროცესი.
- გამოვლინდა სახელმწიფო მართვის გამოცდილების დაბალი დონე და/ან მისი არარსებობა.
- გაძლიერდა სოციალურ, კლანურ და ეთნიკურ ჯგუფთა შირის ურთიერთ- და ხელისუფლებასთან დაპირისპირება, რასაც ხშირად თვით სახელმწიფო უწობდა ხელს.
- პრობლემებად იქცა ურთიერთობის გარკვევა სსრკ ცენტრალურ ხელისუფლებასთან და, განსაკუთრებით, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სეპარატისტულ მოძრაობებთან. ეს კონფლიქტი სამხედრო დაპირისპირების ფაზაში გადაიზარდა.
- ხელისუფლებას, მიუხედავად კომუნისტურ სისტემასთან გამოცხადებული იდეოლოგიური დაპირისპირებისა, თითქმის არ განუხორციელებია პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები.
- ხელისუფლებამ "მოახერხა" მისადმი ყველა დაპირისპირებული საშინაო თუ საგარეო მხარის (რუსეთი, საბჭოთა ინტელიგენცია, კრიმინალური სამყარო, ახალგაზრდობისა და საბჭოურ-ნომენკლატურული ბიზნესის დიდი ნაწილი) გაერთიანება და კონსოლიდაცია სხვა აქტორების ნეიტრალობის პირობებში (დასავლეთი) ან სწრაფი იმედგაცრუების (საზოგადოების ფართო ფენები) ფონზე.

კონფლიქტი, რომელმაც 1990 წლის ბოლოდან იჩინა თავი, 1991 წლის შემოდგომიდან შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა. 1991-1992 წლების მიჯნა "თბილისური ზამთრის" მოვლენებით აღინიშნა. თბილისის ცენტრში მიმდინარე ორკვირიანი ბრძოლების შედეგად პრეზიდენტმა გამსახურდიამ ძალაუფლება დაკარგა.

1992 წლის მარტში სამხედრო საბჭომ ქვეყნის ხელმძღვანელად იმხანად მოსკოვში მყოფი ედუარდ შევარდნაძე მოიწვია. ეს უკანასკნელი ფაქტიურად ყველა პოლიტიკური ძალისათვის აღმოჩნდა მისაღები: კომუნისტური ნომენკლატურა მასთან "ზასტოის" ოქროს ხანას აიგივებდა, დემოკრატიული ძალებისათვის იგი "ბერლინის კედლის დამანგრეველი" იყო, ეროვნული უმცირესობებისათვის კი გამსახურდიას რადიკალური ნაციონალიზმის ალტერნატივას წარმოადგენდა.

1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნებმა საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში ახალი საზოგადოების ლეგიტიმაცია მოახდინა. ახალ პარლამენტში, ფაქტიურად "ზვიადისტთა" გარდა, ყველა პოლიტიკური ძალა მოხვდა.

ე.შევარდნაძის მდგომარეობა განსაკუთრებით განმტკიცდა 1995 წლის შემდეგ, როცა განეიტრალებულ იქნა ყველაზე ძლიერი გასამხედროებული შენაერთი - "მხედრიონი" და შესუსტდა პრო-რუსული და ნეოკომუნისტური ორიენტაციის ძალების გავლენა სახელმწიფო აპარატსა და სპეცსამსახურებში. სოციალურად გაჭირვებული ფენებისა და პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეთა გულის მოგების მიზნით, ძლიერდება ოდესღაც ყოვლისშემძლე "მხედრიონის" წევრთა წინააღმდეგ მიმართული კამპანია. ამასთან, ნომენკლატურული ელიტისა თუ პრივილეგირებული ფენების დამშვიდების მიზნით, კვლავ გრძელდება რეპრესიები გამსახურდიას მომხრეთა წინააღმდეგ.

შევარდნაძის ხელისუფლების მიღწევებად უნდა ჩაითვალოს:

- განხორციელდა რეალური პოლიტიკური ძალაუფლების შექმნა სუსტი სახელმწიფოს პირობებში და მოხდა მისი საერთაშორისო აღიარება.
- პოლიტიკური რომანტიზმი შეიცვალა რეალური ინტერესების პრიმატით, რაც საგარეო და საშინაო ძალთა დაბალანსების გზით იქნა მიღწეული, თუმცა ეს იყო მეტისმეტად მერკანტილური (ამ სიტყვის უარყოფითი გაგებით) ხედვის ზეობის პერიოდი - პოლიტიკური ელიტისათვის სახელმწიფო საკუთარი სარგებლის მიღების საშუალებად იქნა აღქმული.
- საფუძველი ჩაეყარა დიდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროექტებს (ევრაზიული კორიდორი, ნავთობ- და გაზსადენები და ა.შ.).

შევარდნაძის სისტემის წარუმატებლობები:

- მიღწეული სტატუს კვო-ს შენარჩუნება თვითმიზანი გახდა.
- გარე და შიდა დაბალანსების პოლიტიკამ სხვადასხვა პოლიტიკური (საგარეო ორიენტაცია), სოციალური (მარგინალიზებული სოციალური ფენები), და სამოქალაქო (სამოქალაქო საზოგადოების სეგმენტები და პარტიულ-მაფიოზური ნომენკლატურა) ინტერესთა ჯგუფებს შორის ურთიერთდაპირისპირების გაძლიერება გამოიწვია.
- სახელმწიფო გადატრიალებამ, სამოქალაქო ომმა და წაგებულმა ეთნიკურმა კონფლიქტებმა, ეკონომიკის კოლაფსთან ერთად, საზოგადოების ფრუსტრირებას სახელმწიფოებრიობისადმი უნდობლობისა და ნიჰილიზმის გაძლიერებას შეუწყო ხელი.

დემოკრატიის დეფიციტი

შევარდნაძის ხელისუფლების უნაყოფო მცდელობამ, შეექმნა რეალურად ფუნქციონირებადი სახელმწიფო სისტემა, რომელიც უპასუხებდა დროის მოთხოვნებს, საქართველო "არშემდგარი ქვეყნების" სიაში მოახვედრა.

ქვეყანაში, თავად მმართველი პოლიტიკური ელიტის წიაღში შეიქმნა ძლიერი ოპოზიციური ფრთა (ე.წ. "ახალგაზრდა რეფორმატორები"), რომელიც თანადათან დაუპირისპირდა არსებულ სისტემას. ოპოზიციურმა პოლიტიკურმა ძალებმა თავის გარშემო დაიწყეს არსებული რეჯიმით უკმაყოფილოთა შემოკრება, რომლებიც ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ.

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე არსებული ბალანსი დაირღვა საგარეო პოლიტიკაშიც. გაძლიერებული დასავლეთი უკვე აღარ კმაყოფილდება

საქართველოს მიერ წარმოებული ლავირების პოლიტიკით და შევარდნაძის უფრო პროდასავლურ შემცვლელს ეძებს.
ყოველივე ამან ქართული სახელმწიფო და საზოგადოება 2003 წლის შემოდგომაზე უსისხლო რევოლუციის გზით ხელისუფლების ცვლამდე მიიყვანა.
საზოგადოებრივი ცხოვრების სახვადასხვა სფეროების დღევანდელი მდგომარეობის შეფასება შემდეგ თავებშია მოცემული. ახლა ზოგადად შევეხები სააკაშვილის ხელისუფლებუის მიღწევებსა და ჩავარდნებს.
სააკაშვილის მიღწევები:

- სახეზეა წინამორბედზე უფრო ძლიერი, ეფექტური სახელმწიფო სისტემის შექმნის მცდელობა. ცვლილებები მიმდინარეობს დაჩქარებული ვესტერნიზაციისა და სისტემათა სრული განახლების ლოზუნგით.
- "ვარდების რევოლუციამ" გამოიწვია პოსტშევარდნაძისტული საქართველოსათვის დამახასიათებელი ფრუსტრირებული საზოგადოების გააქტიურება. მართალია, საკმაოდ მალე მოსახლეობაში იმედგაცრუებაც გაჩნდა, მაგრამ საკუთარი უფლებების დაცვისა და რეალური ქმედების სურვილი ეიფორიული განწყობებიდან თანდათან პრაგმატულ ფორმებში გადადის.
- ახალი ხელისუფლების უცილობელ მიღწევებად უნდა ჩაითვალოს სერიოზული წარმატებები ერთიანი სამოქალაქო სივრცის შექმნის (აჭარის მოვლენები) და სახელმწიფო სისტემის ადმინისტრირების გაუმჯობების (ბიუჯეტი 10-11-ჯერ გაიზარდა რვა წლის განმავლობაში) მიმართულებით.
- ზოგ სფეროში სახეზეა პოზიტიური ძვრები (განათლებისა და სოციალური დაცვის სისტემაში რიგი პროგრამების განხორციელება), თუმცა ამ ცვლილებების შედეგი ბევრად გვიან, წლების შემდეგ იჩენს თავს.

სააკაშვილის წარუმატებლობები:

- მასობრივი კორუფციის კარდინალურ შემცირებასთან ერთად გაჩნდა ელიტარული კორუფციის მაღალი ალბათობა.
- მიუხედევად გაძლიერებული (ხშირად მდარე ხარისხისა და კანონის უზენაესობის უხეში დარღვევით წარმოებული) პროპაგანდისა, მიმდინარეობს საზოგადოებაში ხელისუფლების რეიტინგის სწრაფი დაცემა.
- სახეზეა სტრატეგიული ხედვების სიმცირე და ტაქტიკური გადაჭრის გზების არარსებობა. თუ შევარდნაძის დროს ხელისუფლება ფორმალურად იღებდა რჩევებს საექსპერტო წრეებისაგან და არ ასრულებდა მათ, ამჟამად ფორმალური მოსმენის ხარისხიც დაეცა და, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელების პროცესის ხელშეწყობისაკენ მოწოდებებით შემოიფარგლება.
- სახეზეა ხელისუფლების ზეცენტრალიზაციის ტენდენცია. თვითმმართველობის გაძლიერების ნაცვლად მოხდა შევარდნაძის დროს არსებული მიზერული უფლებამოსილებების შეკვეცა. ცენტრალურ ხელისუფლებაში დარღვეულია ძალთა ბალანსი ძალაუფლების შტოებს შორის. გადაწყვეტილებები, რეალურად, მხოლოდ ადამიანთა ვიწრო ჯგუფის მიერ მიიღება.
- წინამორბედი ხელისუფლებისაგან არსებულ ხელისუფლებას PR-ის სიძლიერე განასხვავებს. ამავე დროს სახეზეა სიტუაციის ხშირად არაადეკვატური შეფასებები. არის "პოტიომკინის სოფლების" არსებობის შემთხვევებიც.

ჯერ კიდევ XX საუკუნის 90-იან წლებში ჩატარებული მთელი რიგი კვლევები მიუთითებდნენ, რომ პოსტსაბჭოურ სივრცეში საქართველოში ავტორიტარიზმის ხარისხი ერთ-ერთი ყველაზე უფრო მაღალი იყო შუა აზიის ქვეყნების შემდგომ, რის განმაპირობებელ ფაქტორადაც მიჩნეულ იყო საპრეზიდენტო მმართველობის უფლებამოსილების მაღალი ხარისხი (ავტორიტარული სისტემისათვის დამახასიათებელი 27 თეორიული საპრეზიდენტო უფლებამოსილებიდან საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტი 16 უფლებამოსილებას ფლობდა). 2004 წლის საკონსტიტუციო ცვლილებამ ამ უფლებამოსილებათა სია კიდევ უფრო გაზარდა.

მიუხედავად ამისა, მიხეილ სააკაშვილის გუნდში არსებობენ დაჯგუფებები, რომლებიც ხშირად უპირისპირდებიან ერთმანეთს. თავად პრეზიდენტი საკმაოდ კარგად ლავირებს თავისსავე გარემოცვაში, რომელიც, პირობითად, სამი ტიპის პოლიტიკურ ფიგურათაგან შედგება:

- მმართველი პარტიის - "ნაციონალური მოძრაობის" სტრუქტურების წარმომადგენლები, რომლებიც პრეზიდენტის დასაყრდენს წარმოადგენენ როგორც პარლამენტში, ისე ხელისუფლების შუა და ქვედა დონის ეშელონებში;
- აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი მოხელენი, მინისტრები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილიც არ წარმოადგენს მმართველი პარტიის ლიდერებს და არც მათ უკან მოიაზრება მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალა თუ საზოგადოებრივი იმიჯი. შესაბამისად, ისინი მთლიანად პრეზიდენტზე არიან დამოკიდებულნი;
- ადამიანთა ვიწრო წრე, თუ გნებავთ, კამარილია, რომელთა წევრებს, როგორც წესი, არ უკავიათ მნიშვნელოვანი თანამდებობები, მაგრამ დიდ გავლენას ახდენენ ქვეყნის პოლიტიკური კურსის განსაზღვრის პროცესში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გარდაუვალია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" დაშლა. ხელისუფლების სტრუქტურებთან მჭიდროდ შერწყმული ასეთი ტიპის მმართველი პარტიების ("მრგვალი მაგიდა", "მოქალაქეთა კავშირი", "აღორძინება") რეიტინგი, როგორც წესი, მალე ეცემა და, რიგითი პოლიტიკური კრიზისისა თუ "ორთქმავლის" (ხელისუფლების მეთაურის) პოლიტიკის შეცვლის შემთხვევაში, საერთოდ ქრება. ამავე დროს, სწორედ მმართველი პარტიის რიგებიდან გამოდის მომავალი ოპოზიცია, რომელიც ემიჯნება წინა ხელისუფლების და, განსაკუთრებით, მისი ლიდერის პოლიტიკურ კურსს, მიუხედავად ახალი ლიდერების პოლიტიკური მრწამსისა და უნარისა (თ.სიგუა და თ.კიტოვანი "მრგვალი მაგიდიდან", ზ.ჟვანია და მ.სააკაშვილი "მოქალაქეთა კავშირიდან").

არსებული რეჟიმის სტაბილობის ხარისხის შეფასება საკმაოდ რთულია, თუმცა წინა ხელისუფლებასთან შედარებით, ხელისუფლება ნაკლებ სტაბილურია, ხოლო გამსახურდიას ხელისუფლებასთან შედერებით, მეტად სტაბილური:

- დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ხელისუფლების არასტაბილური გარემოსაგან სააკაშვილს განასხვავებს, მართალია, მცირე, მაგრამ მაინც რეალურად არსებული მისი მხარდამჭერი ინტერესთა ჯგუფის/სოციალური ფენის (დაახ. 5%) არსებობა;
- შევარდნაძის ხელისუფლება უფრო სტაბილური იყო ორი მიზეზის გამო: ერთი რომ, კორუფციული მექანიზმების წყალობით მეტი ადამიანის ინტერესი იყო დაკმაყოფილებული და მეორეც, არ მიმდინარეობდა არავითარი, ხშირად

მტკივნეული რეფორმა (მუშაობდა პრინციპი: "ჭაობი ყოველთვის სტაბილურია").

პერსპექტივები

ჯერ კიდევ გასული საუკუნის II ნახევარში (1978), ნეოპატრიმონიალური რეჟიმის საზოგადოებაში რევოლუციის შედეგების შესახებ საინტერესო დასკვნები აქვს გაკეთებული შ.ეიზენშტადტს. ეს დასკვნები, გარკვეულწილად, დღევანდელი ქართული სინამდვილის წინასწარმეტყველურ განჭვრეტას წააგავს:

1. ყველა პირობის არსებობის მიუხედავად, ნეოპატრიმონიალური საზოგადოების მქონე ქვეყნებში ხდება არა წმინდა, კლასიკური სახის რევოლუცია, არამედ ადგილი აქვს კვაზირევოლუციებს, რომლებიც ხორციელდება გარედან ჩარევის და ზეგავლენის დიდი დოზით არსებობის პირობებში;
2. როგორც წესი, ასეთი საზოგადოებები ახდენენ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალებსა და ინტელექტუალურ ლიდერებს შორის კავშირების სისუსტის დემონსტრირებას. ცვლილებები სიმბოლური სახელის მატარებელი ("არწივები", "ლომები") ფსევდორევოლუციების გზით ხორციელდება;
3. ყველა ამდაგვარი რეჟიმი ცენტრსა და პერიფერიას შორის ურთიერთობის მხოლოდ უმნიშვნელო გარდაქმნას ახდენს, მას მინიმუმამდე დაჰყავს სოციალური ჯგუფების ცენტრისადმი ავტონომიური ხელმისაწვდომობა და ამის სანაცვლოდ აქცენტი კეთდება პატრონ-კლიენტის და კორპორაციული წარმონაქმნების ურთიერთობის გავრცელებაზე;
4. ეს ტენდენციები ნაწილობრივ გადაილახება საერთაშორისო ძალების ზეწოლის შედეგად ან/და ადგილობრივი (შესაძლოა ფინანსურ-ოლიგარქიული) ელიტების გაძლიერებით. ამ უკანასკნელთა ფინანსური მხარდაჭერის გარეშე ასეთ რეჟიმებში მხოლოდ იძულების გზით შეიძლება მოხდეს ღრმა ცვლილებები.

სავარაუდოდ მოსალოდნელია, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში პერსპექტივაში რეალურად ორი მიმდინარეობა - ლიბერალური და რევვანშისტული - დაუპირისპირდება ერთმანეთს, ხოლო მათი მხარდამჭერების რიგები ორივე მხრიდან (მმართველი ძალა და ოპოზიცია), პროპორციულობის პრინციპის მეტ-ნაკლები დაცვით, შეივსება.

ფრთხილი ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ მიუხედავად მართვის ავტორიტარული მეთოდებისა, საქართველოს არ გააჩნდა (და არ გააჩნია) დიქტატურის დასამყარებლად აუცილებელი რესურსები (ბუნებრივი რესურსების, ძლიერი სადამსჯელო მექანიზმებისა და საგარეო დასაყრდენის არსებობა) ბელორუსის, აზერბაიჯანისა და შუა აზიის რეჟიმებისაგან განსხვავებით.

2. სამოქალაქო საზოგადოება

სამოქალაქო საზოგადოების ისტორია

სამოქალაქო საზოგადოების, კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები სამოქალაქო საზოგადოებას განსაზღვრავენ როგორც "*ადგილს ოჯახის, სახელმწიფოს და ბაზრის გარეთ, რომელიც შექმნილია ინდივიდუალური და კოლექტიური ძალისხმევის შედეგად ორგანიზაციების და ინსტიტუტების მიერ გაზიარებული ინტერესების განსახორციელებლად/მისაღწევად*".

საქართველოში თანამედროვე ტიპის სამოქალაქო საზოგადოების ჩასახვის ხანად XIX საუკუნის შუახანები უნდა მივიჩნიოთ. საქართველოში, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისიდან ძლიერდება ნაციონალური და საგანმანათლებლო მოძრაობა, რომლის მიზანსაც საზოგადოების ევროპული მოდერნიზაცია და ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა ან ფართო ავტონომიის მოპოვება წარმოადგენდა (1879 წელს შექმნილი "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", პირველი, მეორე და მესამე დასები და სხვ.).

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში უკვე არსებობდა საკმაოდ აქტიურად მოქმედი სამოქალაქო საზოგადოება, რომლის საქმიანობაც საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავდა და პოლონეთის, ბალტიისპირეთისა და ფინეთის სამოქალაქო საზოგადოებებთან ერთად რუსეთის იმპერიის ყველაზე უფრო დემოკრატიულ სეგმენტს ქმნიდა.

სამოქალაქო საზოგადოების შემდგომი განვითარება რუსეთში ბოლშევიზმის გამარჯვებამ და რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) ოკუპაციამ შეაჩერა. საქართველოში, რომელიც 1922 წელს იძულებით იქნა შეყვანილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების მსგავსად, კვაზისამოქალაქო საზოგადოების (სპორტული კლუბები, მწერალთა თუ ხელოვანთა კავშირები, ფორმალურად არსებული პროფკავშირები და ა.შ.) ფორმირების პროცესი დაიწყო.

საბჭოთა კავშირში XX საუკუნის 80-იან წლებში დაწყებულმა რეფორმების პროცესმა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების მანამდე აკრძალული (პოლიტიკური პარტიები, დამოუკიდებელი მედია) ან შეზღუდული (ეკლესია, რწმენის თავისუფლება) სეგმენტების ხელახლა წარმოქმნას და/ან გაძლიერებას შეუწყო ხელი. გასული საუკუნის 80-90-იანი წლების სამოქალაქო საზოგადოების მთავარ ლოზუნგად საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და დემოკრატიული საზოგადოების ფორმირება იქცა.

დემოკრატიული მართვის გამოცდილების არარსებობის ფონზე სსრკ-ის დაშლის შემდეგ, სამოქალაქო, პოლიტიკური და ეთნიკური დაპირისპირებების გამო სამოქალაქო საზოგადოების განვითარება შეფერხდა, თუ სამოქალაქო საზოგადოების სეგმენტად არ მივიჩნევთ პარამილიტარული, ნაციონალისტურ-კრიმინალური (ნარკომაფია, იარაღით ვაჭრობა) შეიარაღებული ფორმირებების ჩამოყალიბებას.

გასული საუკუნის 90-იანი წლების შუახანებიდან ქვეყანაში დაიწყო სტაბილიზაციის პერიოდი. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის სათავეში ძველი კომუნისტური ნომენკლატურა მოვიდა, დასავლეთის ქვეყნების დიდი ფინანსური,

ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერის შედეგად ქვეყანაში თანადათან ძლიერდება სამოქალაქო სექტორი. პოლიტიკური პარტიებისა და დამოუკიდებელი მედიის გვერდით ჩნდება ახალი სეგმენტი: არასამთავრობო (სამოქალაქო საზოგადოების) ორგანიზაციები.

სამოქალაქო საზოგადოების ღირებულებები და გავლენა

საქართველოში საკმაოდ ძლიერია ლიბერალური განწყობები, რაც პოსტსაბჭოთა პერიოდის მოვლენად და სოციალისტური სისტემის მიუღებლობისა და მასზე რევანშის მცდელობად უნდა ჩაითვალოს. სამოქალაქო საზოგადოების ერთი ნაწილი სამოქალაქო საზოგადოებად არ მოიაზრებს ისეთი რადიკალური განწყობის მარგინალურ ჯგუფებს, როგორებიც არიან პოლიტიკური თუ რელიგიური ექსტრემისტები. უფრო მეტიც, სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი თავის წევრად არ მოიაზრებს პროფკავშირებსაც კი, რომლებიც საბჭოური მენტალიტეტის რელიქტებად არიან მიჩნეულნი.
კიდევ უფრო ვიწროვდება სამოქალაქო საზოგადოების გაგება, როცა ამ უკანასკნელის წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ იწყება საუბარი. მართალია, დისკუსიებისას სამოქალაქო საზოგადოებას განსაზღვრავენ ფართო გაგებით (პარტიები, ეკლესია, კავშირები, მედია, სსო) და მის როლს ქვეყნის განვითარების პროცესში დადებითად აფასებენ, მაგრამ კონკრეტულ კითხვებზე პასუხისას და ცალკეული საკითხების განხილვისას აქცენტი კეთდება მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა პრობლემებზე.
სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში ქვეყანაში არსებული სხვადასხვა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ძალების ურთიერთქმედების გარემოში ფუნქციონირებს.
ყველაზე ხშირად ქართული საზოგადოების წევრები საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის გავლენის დეკლარირებას ახდენენ, რომელიც ტრადიციული ღირებულებების ("მამული, ენა, სარწმუნოება") დაცვის გარანტადაა მიჩნეული. მათთან ახლო მდგომად სამოქალაქო საზოგადოების ის სეგმენტები მიიჩნევა, რომლებიც ასევე ტრადიციული ღირებულებების დამცველის ფუნქციაზე აცხადებენ პრეტენზიას (დამოუკიდებელი და რეგიონული ტელევიზიები, ბეჭდვითი მედიის უდიდესი ნაწილი, რადიკალურად ან პატრიოტულად განწყობილი ოპოზიციური პარტიები, სხვა "ტრადიციული ეკლესიები" მაგალითად, სომხური სამოციქულო ეკლესია, ეთნიკური უმცირესობების ინტერესების გამომხატველი ჯგუფები).
ცალკე უნდა გამოიყოს აქტორები, რომლებიც თანამედროვე ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებების აღმატებულობას აღიარებენ (საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოების ოორგანიზაციათა აბსოლუტური უმრავლესობა, ზოგიერთი პოლიტიკური პარტია - მაგალითად რესპუბლიკელები). ამ ჯგუფის ზეგავლენა საზოგადოებაზე ბევრად სუსტია და მათი საქმიანობა ხშირად ინტელექტუალური დისკუსიების და თეორიების ფარგლებს არ სცდება.
ხელისუფლება უშუალოდ და მის მიერ სრულად კონტროლირებადი მედია (უპირატესად, საერთოევროვნული მასშტაბის ტელეკომპანიები: *საზოგადოებრივი მაუწყებელი* და ორი, ფორმალურად დამოუკიდებელი, ტელეკომპანია - *რუსთავი*

2 და *იმედი*) შუალედურ ადგილს იკავებს და ორივე ღირებულებაზე აპელირებს, თუმცა ანალიზი განსხვავებულ სურათს იძლევა.

სამოქალაქო საზოგადოების მეპინგისას, აშკარად იკვეთება ინტერესების ორი წრე:

1. პირველი ჯგუფი მოიცავს "რუსულ ძალებს": უშუალოდ რუსეთის ხელისუფლება (უმთავრესად, პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინის გარემოცვა), სეპარატისტული რეგიონები, რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიასთან დაკავშირებული ქართული მართლმადიდებლობა, "ოლიგარქები" - საქართველოს უმდიდრესი მოქალაქეები, რომლებმაც თავისი კაპიტალი რუსეთში დააგროვეს და ამჟამადაც მჭიდროდ არიან ამ უკანასკნელთან დაკავშირებული.
2. მეორე ჯგუფს წარმოადგენს "დასავლური ვექტორი": დიპლომატიური კორპუსი, საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციები (ნატო, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი), სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების უმეტესობა, პროდასავლურად განწყობილი პოლიტიკური დაჯგუფებები. ეს ძალები, ცალკე აღებული, გავლენით ჩამორჩებიან "რუსულ ძალებს", მაგრამ ერთად მის საპირწონეს ქმნიან.

ქვეყანაში გავლენით პირველ ადგილზეა საქართველოს ხელისუფლება. ეკონომიკის უდიდეს ნაწილს პრივატიზაციის პროცესის შედეგად რუსული კომპანიები აკონტროლებენ. დიდი დასავლური დახმარების მიუხედავად, სახელმწიფო (თავისი ბიუჯეტით) წარმოადგენს უმთავრეს დამკვეთს და საკუთარი სტრუქტურების მეშვეობით (ფინანსური პოლიცია, ძალოვანი სტრუქტურები და უსაფრთხოების სამსახურები) სრულიად აკონტროლებს როგორც ეკონომიკას, ისე პოლიტიკურ სიტუაციას.

ასეთ პირობებში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების, უმთავრესად, სსო-ების გავლენა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე საკმაოდ შეზღუდულია. სსო-ები (თინქ-ტენკები, ვოჩდოგები, პროფესიული და დარგობრივი ასოციაციები) საქმიანობის ფორმების გარეგნული მრავალფეროვნებისა და, ფორმალურად, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოქმედების მიუხედავად, საზოგადოებაზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენენ. რაც შეეხება ხელისუფლებაზე მოხდენილ ზეგავლენას, ხელისუფლება მეორეხარისხოვან საკითხებში მიდის დათმობაზე (როგორც საკანონმდებლო, ისე ყოველდღიური პრაქტიკის დონეზე) სამოქალაქო საზოგადოების ზოგ ჯგუფთან, ამ უკანასკნელთა ლოიალობის სანაცვლოდ, მაგრამ, თუ საქმე პოლიტიკური და ეკონომიური ძალაუფლების ნაწილის დათმობას ეხება (კონტროლი ძალოვან სტრუქტურებზე, ბიუჯეტის გამჭვირვალობა, ხელისუფლების დეცენტრალიზაცია), კონტაქტები დიალოგის დონეზეც კი წყდება.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განვითარების პროცესი საქართველოში XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე რამდენიმე ეტაპად შეიძლება დაიყოს:

1. ჩასახვისა და ადრეული საქმიანობის პერიოდი (1992-1995 წლები). ამ პერიოდში სახელმწიფოს არ ეცალა, კონტროლი დაეწესებინა დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე. თანაც, სექტორი, რომელიც ჯერ კიდევ სუსტი იყო საიმისოდ, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი

როლი ეთამაშა, არ წარმოადგენდა რეალურ საფრთხეს კორუმპირებული ბიუროკრატიისათვის.

2. "ოაზისური" პერიოდი (1995-1999 წლები). დროის ამ მონაკვეთში მიმდინარეობს არასამთავრობო ორგანიზაციების რიცხვობრივი და ხარისხობრივი ზრდა. სახელმწიფო ამ ეტაპზეც არ ერევა მესამე სექტორის საქმიანობაში, თუმცა არასამთავრობოთა საქმიანობა ხელისუფლებას უკვე გარკვეულ პრობლემებს უქმნის, მაგრამ დასავლეთის თვალში დემოკრატიული იმიჯის შენარჩუნების სურვილი აშკარად ჭარბობს განსხვავებულ აზრზე ცენზურის დაწესების სურვილს.
3. მესამე სექტორის დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ძალად ჩამოყალიბების პერიოდი (1999-2003 წლები). მესამე სექტორის თანხმობამ, მონაწილეობა მიეღო საზოგადოებრივ პროცესებში, მთავრობის მხრიდან სექტორისადმი ნეგატიური დაინტერესების ზრდას შეუწყო ხელი. ამ დროს სამოქალაქო საზოგადოება აშკარად გამოდის საკუთარი ინტერესების დასაცავად (მაგალითად, 2001 წლის ნოემბერში, ტელეკომპანიის "რუსთავი 2"-ის დასაცავად გამართული მრავალათასიანი საპროტესტო აქციები). ხელისუფლება, ფინანსური და პოლიტიკური ბერკეტების გამოყენებით, იწყებს გეგმაზომიერ შეტევას სამოქალაქო საზოგადოებაზე და მედიის საშუალებით მათი კომპრომეტაციის პოლიტიკას. შედეგად სამოქალაქო საზოგადოება 2003 წელსგანხორციელებული "ვარდების რევოლუციის" ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად იქვა.
4. პოსტრევოლუციური პერიოდი (2003-2008 წლები) აღინიშნება სამოქალაქო საზოგადოების როლის ზრდით. სამოქალაქო საზოგადოების, დამოუკიდებელი მედიისა და დემოკრატიული პოლიტიკური ძალების მრავალი წარმომადგენელი ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში მოექცა. ამავე დროს პოსტრევოლუციური ეიფორიის ფონზე ქვეყნის მმართველ ელიტაში გაჩნდა ე.წ. "დრაკონის სინდრომი" (როცა დრაკონის დამმარცხებელი რაინდი თავად იქცევა დრაკონად). ხელისუფლების რადიკალურმა და მეტად ხისტმა პოლიტიკამ ქვეყანაში კვლავ გააჩინა გაუცხოების შეგრძნება საზოგადოებასა და პოლიტიკურ ისტებლიშმენტს შორის. რაც ხელისუფლების მიერ დაშვებულმა შეცდომებმა (2007 წლის ნოემბერში მშვიდობიანი მიტინგის დარბევა თბილისში, 2008 წლის ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების სერიოზულმა გაყალბება და სხვ.) გამოიწვია.
5. "გარდატეხის პერიოდი" (2008 წლიდან). სამოქალაქო სექტორი იწყებს ფიქრს ახალ სტრატეგიაზე. სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობა ამ დროისათვის საკმაოდ მძიმეა: ელექტრონული მედია, ფაქტობრივ სრულად კონტროლდება სახელისუფლებო ცენზურის მიერ; რევოლუციის შემდეგ დონორმა ორგანიზაციებმა შეამცირეს სამოქალაქო საზოგადოების დახმარება და რესურსების ძირითადი ნაწილი პროგრესული ხელისუფლების დასახმარებლად მიმართეს; სამოქალაქო საზოგადოების ბევრი წარმომადგენელი სახელმწიფო სტრუქტურებში ან ბიზნესში გადავიდა სამუშაოდ, ხოლო ნაწილმა ქვეყანა დატოვა; მათი ახალი ძალებით როტაციის პროცესი კი არ განხორციელებულა. მართალია, 2009 წლიდან იწყება დონორთა დახმარების ხელახალი ზრდა, მაგრამ თავად სამოქალაქო საზოგადოება აღარ არის ისეთი ძლიერი, როგორიც იგი თუნდაც 2001-2003 წლებში იყო.

ქართული სსო-ები, ხშირად გადაჭარბებით აფასებენ საკუთარ უნარებსა და ღირებულებებს. თუმცა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაკეთებული შეფასებები აღნიშნავენ ბოლო ხუთი წლის მანძილზე საქართველოში მესამე სექტორის დასუსტების ტენდენციას. მეტად სუსტი, და უმთავრესად პოლიტიზებულია სსო-თა კავშირი სახელმწიფო ინსტიტუტებთან, ხოლო ბიზნესთან კავშირი, ფაქტიურად არ არსებობს.

[*აქ შეიძლება 2003 წლიდან მოყოლებული NGO Sustainability Index-ის მაჩვენებლებიც მოვიტანოთ*]

პოლიტიკური პარტიები

საბჭოთა სისტემის რღვევის პროცესმა ქვეყანაში მრავალპარტიულობის წარმოშობა გამოიწვია. ეს პარტიები, როგორც წესი, თავიდან დისიდენტური წარსულის მქონე ადამიანთა გაერთიანებებს წარმოადგენდნენ. ერთპარტიული სისტემის კრიზისის გაღრმავებასთან ერთად პარალელურად მიმდინარეობდა აღნიშნული კვაზიპარტიების კიდევ უფრო მცირე ჯგუფებად დაშლის პროცესიც. ეკონომიკურმა კრიზისმა პარტიებს გამოაცალა მთავარი სოციალური ბაზა - საშუალო კლასი. ამას გარდა, პარტიებს, როგორც წესი, არ გააჩნდათ არათუ სამოქმედო პროგრამა, არმედ გამოკვეთილი იდეოლოგიური დოქტრინაც. ფაქტიურად, ამა თუ იმ პარტიის მოქმედება ერთმანეთთან პირადი ნაცნობობით დაკავშირებულ, ხშირ შემთხვევაში პიროვნული ინტერესების მიხედვით მოქმედ, ადამიანებისაგან ყალიბდებოდა. აქედან გამომდინარე, პარტიათა სიმრავლე გარკვეულწილად პიროვნულ სიმპატია-ანტიპატიებით იყო გამოწვეული.
დღეისათვის პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას შემდეგი:

- ქართულ პოლიტიკურ პარტიებს კვლავინდებურად ახასიათებთ დეკლარირებული საპროგრამო პრიორიტეტებისა და პრაქტიკული ქმედებების შეუთავსებლობა;
- იდეოლოგიური კლიშეები ხშირად გამოიყენება, მაგრამ პარტიულ მოღვაწეობაში არსებით როლს არ თამაშობს. საჭიროების შემთხვევაში ხდება მათი იგნორირება, რაც სრულებითაც არ იწვევს პარტიულ კრიზისს;
- პარტიები არ გამოხატავენ ამა თუ იმ სოციალური ფენის ინტერესებს, არ გააჩნიათ სტაბილური სოციალური ბაზა. მრავალრიცხოვან წევრებს და მხარდამჭერებს აერთიანებს მხოლოდ ის პარტია, რომელიც მმართველია და სახელმწიფო აპარატის ხელთ არსებულ იძულების თუ ეკონომიური სარგებლით მოზიდვის ბერკეტებს იყენებს;
- იკლო ქარიზმათა როლმა პარტიულ მშენებლობაში, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიათა წარმოშობის საწყის ეტაპზე. რაც შეეხება მმართველ პარტიებს, მის შიგნით არსებულ ცალკეულ დაჯგუფებათა ერთადერთ შემაკავშირებლად, როგორც წესი, ლიდერი (ზ.გამსახურდია, ე.შევარდნაძე, ა.აბაშიძე, მ.სააკაშვილი) რჩება;
- პოლიტიკურ პარტიებს არ გააჩნიათ ნათლად ჩამოყალიბებული მოქმედების გეგმა იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდება ძალაუფლების ხელში აღება. მათთვის უფრო ადვილია ოპოზიციაში ყოფნა და ხელისუფლების კრიტიკა. ხშირია პოლიტიკური ორიენტირების ცვლა, როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში. პოლიტიკურ პარტიათა გაუბედაობა საზოგადოებაში ქმნის აზრს,

რომ საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს შეუცვლელ ფიგურას, რაც, ხელისუფლების ცვლის პროცესს, როგორც წესი, მტკივნეულ ფორმას ანიჭებს.

საქართველოს პოლიტიკური სპექტრი, საკმაო სიჭრელის მიუხედავად, ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება დავყოთ:

1. პოლიტიკური პარტიები, რომელთა რიგებშიც, ძირითადად, გაერთიანებულია ნომენკლატურა და/ან გარკვეული (რეგიონული, ნათესაური და ა.შ.) კლანის წარმომადგენლები. მათ გააჩნიათ დიდი პოლიტიკური, ეკონომიკური და, როცა საჭიროა, იძულების ბერკეტები თავიანთი მიზნების განსახორციელებლად;
2. პოლიტიკური მოძრაობები და დაჯგუფებები, რომლებიც წევრთა მეტად მცირე რაოდენობას მოიცავს. ასეთი პარტიების აქტივობა ან არჩევნების პერიოდში იჩენს თავს, ან ლოკალური დაუმორჩილებლობის კამპანიებით თუ უშედეგო საპროტესტო აქციებით შემოიფარგლება.

იმისათვის, რომ პარტია გადარჩეს არსებობისათვის მიმდინარე ბრძოლაში, აუცილებელია მეტ-ნაკლებად გარანტირებული სტაბილური შემოსავალი, რომლის მიღებაც მხოლოდ იმ პარტიებს ხელეწიფებათ, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში და თავიანთ რიგებში აერთიანებენ კორუმპირებულ თუ არაკორუმპირებულ სახელმწიფო მოხელეებს.

სახელისუფლებო პარტიებს გააჩნიათ თავიანთი სოციალური ბაზაც: საზოგადოებაში სახელმწიფოს მხრიდან სოციალური გარანტიების მიღების ილუზია მაშინ, როცა სახელმწიფო ინსტიტუტებს არ გააჩნიათ არც შესაბამისი ნება და არც შესაბამისი ფინანსური შესაძლებლობანი, მოსახლეობის შედარებით "მოხერხებულ" ფენებს აიძულებს, მწირი რესურსების განაწილების პროცესში შემოვლითი გზებით ჩაერთონ. სწორედ ეს ხდება სახელმწიფო კლიენტელიზმის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მიზეზი.

თუ გავიზიარებთ კლასიკურ განმარტებას იმის თაობაზე, რომ "*ელიტა საერთო ინტერესებისათვის მებძოლი სოციალური ჯგუფია, რომელმაც მოიპოვა რესურსების ფლობის უფლება,*" მაშინ მსხვილი პოლიტიკური პარტიები, გარკვეულწილად, მართლაც წარმოადგენენ პოლიტიკური ელიტის ჩანასახს.

კლიენტელური ურთიერთობები დღეისათვის ბატონობს არა მარტო ტრადიციულ სოციალურ ურთიერთობებში, არამედ ეკონომიკის სისტემაშიც შეაღწია. საშუალო და მსხვილი ბიზნესის ბევრი წარმომადგენელი უკვე აქტიურად იწყებს პოლიტიკაში ჩარევას, რათა ბიუროკრატიასთან ბრძოლაში შეძლოს არა მარტო ეკონომიკური, არამედ არსებობის უფლების დაცვა. ქართული ეკონომიკისათვის განვითარების აღნიშნულ ეტაპზე დამახასიათებელია *ბიუროკრატიული ბურჟუაზიის* წარმოშობა. სახელმწიფოს თუ მისი წარმომადგენლების მხრიდან განხორციელებულ კანონიერ თუ უკანონო ზეწოლას მეწარმეები იმით პასუხობენ, რომ ეძებენ "ქოლგებს" (შდრ. სლენგი - "კრიშა") სახელმწიფო აპარატის გავლენიან წარმომადგენელთა შორის. ცივილიზებული ლობიზმის მომენტი აქ არ არსებობს - მისი ადგილი კვლავ არაფორმალურ ურთიერთობებს უჭირავს.

საქართველოში თანდათან ყალიბდება ახალი მმართველი კლასი. მასში შედიან: სახელმწიფო ადმინისტრაცია, სახელმწიფო ბურჟუაზია და რეგიონალური მმართველი ჯგუფები. ძალაუფლებისათვის ბრძოლა და კოალიციების შექმნა მათ შორის წარმოებს. ამასთან, მათ აერთიანებთ საერთო მიზანი - არ სურთ რადიკალური ცვლილებები. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს დაჯგუფებები

ერთმანეთს ებრძვიან, ისინი მაინც ერთიანნი არიან. ჩვენი ქვეყნის მმართველობა უკვე აღარ არის ნომენკლატურული, მაგრამ მმართველი ზედაფენა ჯერ კიდევ არ არის ელიტა.
რაც შეეხება "არასახელისუფლებო" პოლიტიკურ პარტიებს, მათი გადარჩენის შანსი დღითიდღე კლებულობს. არჩევნებიდან არჩევნებამდე თუ მიტინგიდან მიტინგამდე ზოგი დაჯგუფება საერთოდ წყვეტს არსებობას.
ოპოზიციური პარტიების მთელი საქმიანობა, როგორც წესი, ხელისუფლების კრიტიკისკენაა მიმართული. საკუთარი პროგრამების და ხედვების წარმოჩენას (თუკი ასეთი გააჩნიათ) და პოპულარიზაციას არავითარი ყურადღება არ ეთმობა.
ოპოზიციას არ შეუძლია სახელკისუფლებო პარტიებისათვის რეალური კონკურენციის გაწევა, მათ ასევე უჭირთ ერთიანი ლიდერის წამოყენება და გარკვეული პრინციპების გარშემო გაერთიანება.
ამავე დროს სახეზეა არაპირდაპირი და, ხშირ შემთხვევაში პირდაპირი რეპრესიები ხელისუფლების მხრიდან (განსაკუთრებით, წინასაარჩევნო პერიოდებში და, განსაკუთრებით, რეგიონებში).

მედია

მედიის დამოუკიდებლობის ხარისხის საილუსტრაციოდ შეიძლება მოტანილ იქნეს საერთაშორისო ორგანიზაციების (Freedom House, Reporters Without Borders) მონაცემები.

Freedom House-ის შეფასების თანახმად, საქართველოში მედიის დამოუკიდებლობის ხარისხი მნიშვნელოვნად იცვლებოდა როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მიმართულებით.

NIT Ratings	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
Independent Media	4.50	4.25	3.75	3.75	3.50	3.75	4.00	4.00	4.25	4.25	4.00	4.25	4.25	4.25	4.25

XX საუკუნის 90-იანი წლების II ნახევარში აღნიშნული პროგრესი ჩვენი საუკუნის დასაწყისში სიტუაციის გაუარესებით შეიცვალა, რაც იოლად შეიძლება აიხსნას: თუ "სტაბილიზაციის" პროცესში საქართველოს ხელისუფლება მედიასაც ისევე "ელოლიავებოდა", როგორც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, პოზიციების გამყარებასთან ერთად ისტებლიშმენტი ცდილობს კონტროლის დაწესებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. შესაბამისად, თუ 1997-2000 წლებში სიტუაცია უმჯობესდებოდა (4.50-დან 3.50 ქულამდე), 2001-2003 წლებში იგი გაუარესდა (დაეცა 3.50-დან 4.00 ქულამდე).
სამწუხაროდ, სიტუაციის გაუარესების ტენდენცია ან სტაგნაცია გაგრძელდა "ვარდების რევოლუციის" შემდეგაც. ახალი, "რევოლუციური", ხელისუფლებაც აგრძელებს მედიაზე აბსოლუტური კონტროლის დამყარების მცდელობებს. დღეისათვის, ქართული მედიის დამოუკიდებლობის ხარისხი იგივეა (4.25 ქულა), რაც 1998 წელს იყო და მნიშვნელოვნად უარესი 1999-2000 წლებთან შედარებით.
არანაკლებ რთული სიტუაციაა პრესის თავისუფლების მხრივაც:

NIT Ratings	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
Press Freedom	55	56	57	47	53	53	54	54	56	57	57	60	60	59	55
rank	-	-	-	-	-	-	101	114	116	118	120	128	128	126	118

ამ სფეროშიც სიტუაცია ყველაზე კარგი 1999-2000 წლებში იყო, ხოლო ყველაზე კრიტიკული 2008-2009 წლებში, როცა საქართველო მჭიდროდ მიუახლოვდა მედიის სფეროში არათავისუფალი ქვეყნების ნიშნულის (61 ქულა), რომელშიც ავტორიტარული და ტოტალიტარული ქვეყნები შედიან.
Freedom House-ის ამ მონაცემებს იზიარებს Reporters Without Borders-ის პრესის თავისუფლების ინდექსიც.

year	rank	press-freedom-index	ვის შემდეგაა საქართველო
2003	73	17.33	Dominican Republic
2004	94	27.50	Cameroon
2005	99	25.17	Turkey
2006	89	21.00	Tanzania
2007	66	20.83	United Arab Emirate
2008	120	31.25	India
2009	81	18.83	Central African Republic
2010	99	27.00	Mozambique

ამ მხრივაც, თუ გადავხედავთ იმ ქვეყნებს, ვისაც საქართველო ჩამორჩება, სახარბიელო სურათს ნამდვილად ვერ დავინახავთ.

სამოქალაქო საზოგადოების ზოგადი შეფასება

სამოქალაქო საზოგადოების შეფასების ქულების გადახედვისას დავინახავთ, რომ შესაძლებელი ხდება "კარგი" და "ცუდი" პერიოდების გამოყოფა:

NIT Ratings	1997	1998	1999	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
Civil Society	4.50	4.25	3.75	4.00	4.00	4.00	3.50	3.50	3.50	3.50	3.50	3.75	3.75	3.75

1997-2000 წლები აღინიშნებოდა სამოქალაქო საზოგადოების მგდომარეობის გაუმჯობესებით (4.50 > 3.75). ამ მოვლენას თავისი მიზეზები გააჩნდა, რაზეც ზემოთ იყო საუბარი;
2001-2003 წლებში ხელისუფლების მცდელობამ, შეეზღუდა სამოქალაქო საზოგადოების საარსებო სივრცე, სფეროს სტაგნაცია გამოიწვია (4.00);
"ვარდების რევოლუციის" შემდეგ პირველ წლებში (2004-2008) მდგომარეობა გაუმჯობესდა (3.50), თუმცა პოზიტიური პროცესები შემდგომში აღარ გაღრმავებულა;
2008 წლიდან მოყოლებული, შეინიშნება სიტუაციის გაუარესება (3.75). ამ მოვლენის მიზეზებზე ასევე იყო საუბარი და, მიუხედავად საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების გააქტიურებისა, პროგრესი ჯერ კიდევ არ შეიმჩნევა.

3. სახელმწიფო

საარჩევნო პროცესი

საქართველოს პოლიტიკური ელიტა, ისევე, როგორც სხვა ახალი დემოკრატიის ქვეყნების ისტებლიშმენტი, დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე მიხვდა მის ხელთ არსებული ძალაუფლების საშინაო თუ საგარეო ლეგიტიმაცის აუცილებლობას, თუნდაც გარეგნულად. ამან, თავის მხრივ, გამოიწვია არჩევნების, როგორც დემოკრატიული ლეგიტიმაციის საშუალების, როლის ზრდა.
ეს სრულებითაც არ ნიშნავს დემოკრატიული აზროვნების წესის დამკვიდების მცდელობას. ლეგიტიმაციის პროცესს მნიშვნელობა აქვს არა საზოგადოებისთვის, არამედ პოლიტიკური მოძრაობებისათვის, რომლებიც ხშირად ცალკეული ინტერესთა ჯგუფების - კლანური დაჯგუფებების ინტერესებს გამოხატავენ და რომელთათვისაც სადეპუტატო მანდატების მოპოვება სახელმწიფოს ხელთ არსებულ, საკმაოდ შეზღუდულ ყველა სახის რესურსზე კონტროლის აუცილებელ საშუალებად მიიჩნევა. არჩევანის უფლება და საარჩევნო უფლების ფორმალური გაფართოება არაფერს ნიშნავს, სახეზეა მხოლოდ საარჩევნო ტექნიკის მოქნილობა.
ნომენკლატურა საზოგადოებასთან ურთიერთობისას ფართოდ იყენებს კლასიკურ კლიენტელურ მეთოდებს, იქნება ეს მოსახლეობის დაშინება თუ გარკვეული ეკონომიკური კონპენსაცია (ხელფასებისა და პენსიების გაცემით დაწყებული და არჩევნების პერიოდში სურსათის დარიგებითა თუ გზის მოასფალტებით დამთავრებული).
სიტუაცია კარდინალურად იცვლება არჩევნების შემდეგ. პოლიტიკური ძალები, რომლებმაც წინასაარჩევნო მოსყიდვებისა თუ მოწინააღმდეგე კლანებთან ბრძოლის გამო საკმაოდ დიდი ოდენობის სახსრები დახარჯეს, ცდილობენ, თავიანთი სადეპუტატო უფლებამოსილების პერიოდში აინაზღაურონ დანაკარგი და გაზარდონ პირადი თუ საკუთარი კლანის ქონება, რათა უკეთ მომზადებულნი შეხვდნენ მომავალ არჩევნებს.
საზოგადოება კარგად ხედავს ყოველივე ამას. ამის შედეგია პოსტსაბჭოური სტილის დამკვიდრება ხმის მიცემის პროცესში - ბევრი ამომრჩეველი ხმას აძლევს არა ვინმეს სასარგებლოდ, არამედ ხელისუფლების საწინააღმდეგოდ. ამავე დროს, ცოტას თუ აქვს იმედი, რომ მისი ხმა რეალურ გავლენას მოახდენს არჩევნების შედეგებზე.
თავის მხრივ, ნაკლები რაოდენობის ამომრჩეველი კიდევ უფრო ნაკლებ ზეგავლენას ახდენს ახალი პოლიტიკური სისტემების ფორმირებაზე და საშუალებას აძლევს იმ პოლიტიკურ ძალებს, რომელთა ხელშიც არის თავმოყრილი რეალური ძალაუფლება, მთელი რიგი უკანონო მეთოდის გამოყენებით გააყალბონ არჩევნების შედეგები თავის სასარგებლოდ და არჩევნებზე არმოსული ამომჩევლების ხარჯზე.
თანამედროვე არჩევნები საქართველოში იდეოლოგიურიდან პირადი დაინტერესების რეალიზების საშუალებად იქცა. თანდათან ხდება ახალი საარჩევნო სტილის "გაადამიანურება" ("პერსონალიზება"). მოსახლეობა (განსაკუთრებით, რეგიონებში) ადგილობრივ ნომენკლატურას აძლევს ხმას - ერთის მხრივ, მას არ სურს რეალურად არსებულ ერთადერთ ძალაუფლებასთან ურთიერთობის გაფუჭება, რაც საკმაოდ დიდი საფრთხის შემცველია და, მეორეს

მხრივ, ადგილობრივი კლანების წარმომადგენლებთან პირადი კონტაქტების და კონკრეტული დაპირებების შესრულების საშუალებით იმედოვნებს მძიმე საარსებო პირობების გაუმჯობესებას.
იმ რეგიონებში, სადაც სამოქალაქო საზოგადოება კიდევ უფრო სუსტია (ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული ანკლავები) ან ადგილობრივი ავტოკრატების სრული კონტროლის ქვეშ იმყოფება (რეგიონები), არჩევნების პერიოდში ელექტორატის ქცევაში ბატონობს პატრიარქალური სტილი - მოსახლეობა უსიტყვოდ აძლევს ხმას იმას, ვის მხარდაჭერასაც უბრძანებენ.
საბოლოო ჯამში, არჩევნების შედეგები მხოლოდ დასავლეთის დემოკრატიული საზოგადოების თვალში ახდენს ხელისუფლების ლეგიტიმაციას. დასავლეთის წამყვანი ქვეყნები, რომლებიც კარგად ფლობენ ინფორმაციას არსებული სიტუაციის შესახებ, პოლიტიკური (ძირითადად, გეოსტრატეგიული) მოსაზრებების გამო, გაურბიან თავისი პოზიციის მკვეთრ გამოხატვას და კმაყოფილდებიან იმით, რომ საქართველოში შედარებითი სტაბილიზაციაა მიღწეული.
საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩატარებული ყველა არჩევნები ზემოთქმულის დადასტურებას წარმოადგენს:

- 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნებში ფაქტიურად მოსახლეობის მხოლოდ მესამედი მონაწილეობდა. არაქართული მოსახლეობა (განსაკუთრებით განაპირა რეგიონებში) არ ენდობოდა ქართულ ხელისუფლებას, ხოლო ქართული მოსახლეობის ნაწილი (ე.წ. "ზვიადისტები") არ ცნობდნენ მის ლეგიტიმურობას. არჩევნებში მონაწილეთა 96% სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე ე.შევარდნაძე აირჩია, როგორც უალტერნატივო პიროვნება. მიუხედავად ამისა პარლამენტში 26 პარტია და ბლოკი მოხვდა. ეს იყო ყველაზე მრავალპარტიული პარლამენტი საქართველოს ისტორიაში. ასეთი შედეგი პოსტსაბჭოური პერიოდის საქართველოში არა სახვადასხვა ძალთა ბალანსის, არმედ მოსახლეობის დაბნეულობის მაუწყებელი იყო.
- 1995 წლის 5 ნოემბრის არჩევნების შედეგად ედუარდ შევარდნაძე, ხმების 78 პროცენტით, პრეზიდენტად იქნა არჩეული. პარლამენტში ფაქტიურად ერთადერთ რეალურ ძალად საკმაოდ ამორფული, მაგრამ შევარდნაძის პოლიტიკის უსიტყვოდ მხარდამჭერი "მოქალაქეთა კავშირი" იქცა. ოპოზიციური პარტიების აბსოლუტური უმრავლესობა პარლამენტს გარეთ აღმოჩნდა. ადგილობრივმა დამკვირვებებლებმა, რომლებიც მოქმედებდნენ არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" ეგიდით, მთელ რიგ უბნებში სერიოზული დარღვევები აღმოაჩინეს, მაგრამ არჩევნების შედეგები არსებითად კითხვის ქვეშ მათ არ დაუყენებიათ. ამას ხელი შეუწყო როგორც მოსახლეობის სულ უფრო მზარდმა ინდეფერენტიზმა, ისე სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან განხორციელებული მაქინაციების მთელმა ციკლმა. ხშირი იყო საარჩევნო ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამართალდამცავთა ჩარევა, წარმოჩინდა ხმის დამთვლელ კომისიათა არაკომპეტენტურობა და საარჩევნო კანონის დაუხვეწაობა.
- 1999 წლის საპარლამენტო და 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე აღნიშნული ტენდენციები კიდევ უფრო გაძლიერდა. შედეგების გაყალბების მასშტაბები კიდევ უფრო გაიზარდა. ეს განსაკუთრებით ითქმის საპრეზიდენტო არჩევნებზე. მოქმედი პრეზიდენტის, ე.შევარდნაძის მთავარმა

ოპონენტმა, ჯუმბერ პატიაშვილმა ბევრ ოლქში რალურად ხმათა უმეტესობა დააგროვა, მაგრამ საარჩევნო ადმინისტრაციამ, შედეგების რევიზირების გზით, მოახდინა მმართველი ძალის ოპონენტის მხარდამჭერთა ხმების ოდენობის ხელოვნური შემცირება. ამას ხელი გარკვეულწილად შეუწყო სადამკვირებლო ორგანიზაციების მიკერძოებულმა ქმედებებმა - პატიაშვილი, შევარდნაძისაგან განსხვავებით, პრორუსულ, რეაქციულ ძალად აღიქმეოდა და მისი გამარჯვება, ან თუნდაც არჩევნების მეორე ტურის ჩატარება, დასავლური დემოკრატიის მარცხად იქნებოდა მიჩნეული.

- ხელისუფლების მხრიდან 2002 წლის ნოემბერში საპარლამენტო არჩევნების შედეგების შეცვლის მცდელობამ ქვეყანაში უსისხლო რევილუცია გამოიწვია, რაც ხელისუფლების ცვლით დაგვირგვინდა. დარღვევების დაფიქსირება, ამ შემთხვევასი, სადამკვირებლო ორგანიზაციებმაც დააფიქსირეს, რამაც ძლიერი ბიძგი მისცა საპროტესტო მოძრაობის აღმავლობას.
- 2008 წლის ვადამდელ საპრეზიდენტო (იანვარი) და საპარლამენტო (მაისი) არჩევნებისას კვლავ აღინიშნა ხმების გაყალბებისა და მმართველი ძალის მხრიდან არაკანონიერი მექანიზმების გამოყენების ოდენობის ზრდა. ეს განსაკუთრებით ითქმის საპრეზიდენტო არჩევნებზე, რაც საერთაშორისო სადამკვირებლო ორგანიზაციებმაც დაადასტურეს.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოში საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებული შეფასების დინამიკა ზემოთქმულის დადასტურებას წარმოადგენს. 1997-2011 წლებში, Freedom House-ის მიერ გაკეთებული შეფასებები ზემოთქმულის დადასტურებაა.

NIT Ratings	1997	1998	1999	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
Electoral Process	5.00	4.50	4.00	4.50	5.00	5.25	5.25	4.75	4.75	4.50	4.75	5.25	5.25	5.00

როგორც ვხედავთ, არჩევნების ხარისხის გაუმჯობესება აღინიშნება 1997-1999 წლებში (5.0-დან 4.00 ქულამდე). ე.შევარდნაძის მმართველობის ბოლო წლებში (2001-2003) სახეზეა სიტუაციის გაუარესება (4.00-დან 5.25 ქულამდე).

"ვარდების რევოლუციის" შემდეგ, საზოგადოებრივი აქტივობისა და ხელისუფლებისა და საარჩევნო პროცესებისადმი ნდობის ზრდის პირობებში, მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა (5.25-დან 4.50-მდე). თუმცა შემდგომ, ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შედეგად (2007 წლის ნოემბერში მიტინგების დარბევა ხელისუფლების მიერ და 2008 წლის არჩევნების ლეგიტიმურობის დაბალი დონე), საქართველომ კვლავ რეგრესი აჩვენა (4.25-დან 5.25-მდე 2010 წლისათვის).

სიტუაცია შედარებით გაუმჯობესდა 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების შედარებით გამჭირვალე პროცესების პირობებში, მაგრამ დღევანდელი მდგომარეობით, საარჩევნო გარემოსა და საარჩევნო პროცესის შეფასება, ხელისუფლების მხრიდან სიტუაციის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მრავალგზისი განცხადებების მიუხედავად, 1997 წლის დონის ანალოგიურია (5.00 ქულა).

კიდევ ერთი უარყოფითი მომენტი, რასაც აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი, ის გახლავთ, რომ 2009 წლიდან საქართველო უკვე აღარ გვხვდება "საარჩევნო დემოკრატიის" ქვეყნებს შორის, სადაც იგი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ

მუდმივად იმყოფებოდა, 2004 წლის გამოკლებით, რაზეც 2003 წლის მოვლენებმა - არჩევნების შედეგების გაყალბებამ და პოლიტიკური პროცესების არაკონსტიტუციური გზებით გადაწყვეტამ (თუნდაც უსისხლო, მაგრამ მაინც რევოლუცია) გამოიწვია.

წელი	**საარჩევნო დემოკრატია**	**არის თუ არა საქართველო მათ შორის**
1991/1992	89 ქვეყანა	**არა**
1992/1993	99 ქვეყანა	დიახ
1993/1994	108 ქვეყანა	დიახ
1994/1995	113 ქვეყანა	დიახ
1995/1996	115 ქვეყანა	დიახ
1996/1997	118 ქვეყანა	დიახ
1997/1998	117 ქვეყანა	დიახ
1998/1999	117 ქვეყანა	დიახ
1999/2000	120 ქვეყანა	დიახ
2000/2001	120 ქვეყანა	დიახ
2001/2002	121 ქვეყანა	დიახ
2003	121 ქვეყანა	დიახ
2004	117 ქვეყანა	**არა**
2005	119 ქვეყანა	დიახ
2006	126 ქვეყანა	დიახ
2007	123 ქვეყანა	დიახ
2008	121 ქვეყანა	დიახ
2009	119 ქვეყანა	**არა**
2010	116 ქვეყანა	**არა**
2011	115 ქვეყანა	**არა**

დემოკრატიული მმართველობა

ცენტრალური ხელისუფლების საქმიანობის პრინციპები

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სახელმწიფო მშენებლობა საქართველოში წარიმართა პოლიტიკური კონიუქტურის გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცნენ ძალოვანი სტრუქტურები - იწყება შტატების ზრდა, ხოლო ამ უწყებათა მეთაურებად, როგორც წესი, ინიშნებოდნენ პრო-რუსული ორიენტაციის პიროვნებები.
სახელმწიფო აპარატის საქმიანობის უმთავრეს გარანტად საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბებული კორუფციული გარიგებების სისტემა ითვლებოდა.
სიტუაცია მნიშვნელოვნად იცვლება 2003 წლის შემდეგ. 2004-2006 წლებში საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულმა ანტიკორუფციულმა პოლიტიკამ მნიშვნელოვანს შედეგი გამოიღო. გაიზარდა ქვეყნის ხელისუფლების ეფექტურობა და ეფექტიანობა. ფაქტიურად გაქრა ე.წ. "მასობრივი კორუფცია". თუმცა ამავე დროს გაჩნდა ე.წ. "ელიტარული კორუფციის" მაღალი ალბათობა.
კორუფციასთან დაკავშირებით ქვემოთ იქნება საუბარი. ამჟამად შევეცდები მოკლედ დავახასიათო ის პრინციპები, რასაც საქართველოს ისტებლიშმენტის ქცევა ემყარებოდა და ემყარება, მიუხედავად სხვადასხვა ხელისუფლებას შორის არსებული გარეგნული განსხვავებებისა.
საქართველოში, ისევე როგორც ახალი დემოკრატიის სხვა ქვეყნებში, ეროვნული ბურჟუაზიის წარმოშობა-განვითარების პროცესი კლიენტელურ ურთიერთობათა ფონზე მიმდინარეობს. ამ უნთიერთობების გარეშე (ე.წ. "კრიშების" სისტემა) მეტად რთულდება სამეწარმეო საქმიანობა. არ არის გასაკვირი, რომ ქართველ ნუვორიშთა

აბსოლუტურ უმეტესობას პოლიტიკური ელიტისა და სახელმწიფო აპარატის ყოფილი და ამჟამინდელი ფუნქციონერები ქმნიან. კორუმპირებული ბურჟუაზიის არსებობა კიდევ უფრო ზრდის ერთი პიროვნების მეორეზე დამოკიდებულებისა და მფარველობის ხარისხს.
ქვეყანაში მრავლადაა ისეთი ორგანიზაცია თუ საწარმო, რომელთა მართვის და ფლობის ფორმა (შერეული - სახელმწიფო და კერძო - სახით) თითქოს ჯდება საკანონმდებლო ჩარჩოში, მაგრამ რეალურად საქმე გვაქვს პოსტსაბჭოური საკუთრების ფორმის რეციდივებთან, როდესაც ორგანიზაციის სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული წილი ფაქტიურად პოლიტიკური ელიტის ხელშია და მისი ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურება.
ნომენკლატურა ცდილობს, აბსოლუტური კონტროლი დააწესოს ცხოვრების ყველა სფეროზე და გააკონტროლოს ყველაფერი, დაწყებული ჭეშმარტებაზე მონოპოლიიდან და დამთავრებული ე.წ. "ბლატიანი" შემსრულებლისათვის კანალიზაციის სისტემის შეკეთების თაობაზე დაკვეთის მიცემით.
ამ პოზიციებისთვის მიმდინარეობს ბრძოლა როგორც ცალკეულ პირებს (ინდივიდუალური რენტულორიენტირებული ქცევა), ისე ორგანიზებულ ჯგუფებს შორის (კოლექტიური რენტულორიენტირებული ქცევა).
ავტორიტარული თუ ჰიბრიდული ტიპის პოლიტიკური სისტემების ამ ფუნქციონალური მოთხოვნებიდან გამომდინარეობს, რომ მმართველმა პოლიტიკოსებმა და მოხელეებმა უნდა აწარმოონ (და აწარმოებენ კიდეც) ბრძოლა თავისი უფლებების ნებისმიერი შეზღუდვის წინააღმდეგ. ასეთი სისტემები თავისი არსით, შეუთავსებელია როგორც დემოკრატიულ კონტროლთან, რომელიც ხელისუფლების გაყოფის პრინციპზეა დაფუძნებული, ისე სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის პრინციპთან, რომელიც ადამიანის შემზღუდავი ძალაუფლების ნაცვლად ამკვიდრებს სამართლის წინასწარდაგეგმილ ბატონობას.
პოლიტიკოსები და უმაღლესი დონის მოხელეები ცდილობენ, არ დაუშვან ეკონომიკაში არაპერსონიფიცირებული საბაზრო მექანიზმები, მუდამ მიისწრაფიან, პოლიტიზირება გაუკეთონ რაც შეიძლება მეტ საზოგადოებრივ გადაწყვეტილებას და ამით ისინი საკუთარ თავთან დამოკიდებულებაში მოაქციონ.
ამავე დროს, მიმდინარეობს ბრძოლა თვით მმართველ ფენაში. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს (რესურსების მონოპოლისტი მფლობელის) მხრიდან არა მარტო გარკვეული შეღავათების მიღების შესაძლებლობას, არამედ მიღწეული მაღალი პირადი მდგომარეობის სოციალური ლეგიტიმაციის საკითხს. დიდი ყურადღება ექცევა ნებისმიერ ფორმას, დაწყებული კითხვით - შედის თუ არა ესა თუ ის პიროვნება პრეზიდენტის გარემოცვაში არსებული არაარჩევითი სამუშაო ჯგუფების შემადგენლობაში, დამთავრებული - რომელ სუფრასთან და პრეზიდენტთან რამდენად ახლოს იჯდა იგი ამა თუ იმ ოფიციალური მიღების დროს.
ამავე დროს ქვეყნის, როგორც წესი ქარიზმატული, ლიდერი იძულებულია, მასების გულის მოსაგებად მეტ-ნაკლებად ითამაშოს სოციალური დიქტატორის როლი. საქართველოში ამის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ე.შევარდნაძის მიერ ჯერ 70-იან, ხოლო შემდეგ 90-იან წლებში წამოწყებული ანტიკორუფციული კამპანია და პრეზიდენტ მ.სააკაშვილის თითქმის იდენტური მცდელობები.

რა თქმა უნდა შევარდნაძესა და სააკაშვილის მართვის სტილს შორის არსებობს განსხვავებებიც. ე.შევარდნაძემ მოახერხა, თავის თავში მეტ-ნაკლებად გაეერთიანებინა მ.ვებერისეული ლეგიტიმური ბატონობის სამივე ფორმა: ტრადიციული, ხარიზმული და რაციონალურ-სამართლებრივი. ასრულებდა რა ქარიზმატიკული ლიდერის ორივე უმთავრეს მოვალეობას - ეროვნული პოლიტიკური ინტეგრაციის უზრუნველყოფას და სახელმწიფო ადმინისტრაციულ მანქანაზე კონტროლის დაწესებას - მან მოახერხა, შედარებით უსისხლოდ გაენეიტრალებინა მისი მოწინააღმდეგე დაჯგუფებები, მოახდინა პოტენციური კონკურენტების "გასვრა" საზოგადოების თვალში (მათთვის მთელი რიგი პრივილეგიების გადაცემის გზით) და დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში შეუცვლელ ფიგურად იქცა.

მ.სააკაშვილის პოლიტიკა ამ მხრივ უფრო ხისტი აღმოჩნდა - შევარდნაძის პრევენციულ, "უმტკივნეულო" მეთოდებისაგან განსხვავებით, გამოყენებულ იქნა ხისტი ძალა ნებისმიერი, თუნდაც თეორიული კონკურენტების მიმართ, რომელთაც შეეძლოთ საფრთხე შეექმნათ პრეზიდენტისა და მისი გარემოცვის ეკონომიკური თუ პოლიტიკური დომინატისათვის.

ორივე შემთხვეაში საქმე გვაქვს სოციალიზმის ეპოქის ლიდერობის პრინციპთან, როცა ყოველი ახალი გენერალური თუ პირველი მდივანი თავის მმართველობას იწყებდა კოლექტიური ხელმძღვანელობის იდეით, ხოლო საკუთარი პოზიციის გამყარების შემდეგ გადადიოდა ერთპიროვნული მმართველობის სტილზე.

მაგრამ ზემოთქმული არ ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკურ სახელმწიფოსთან ამ სიტყვის კლასიკური გაგებით. სინამდვილეში, როგორც აღმასრულებელი (რესურსების ფლობის უფლება), ისე საკანონმდებლო (კლანური ინტერესების ლობირების საშუალება) ხელისუფლება, ფაქტიურად, მხოლოდ შირმას წარმოადგენს ცალკეული არაფორმალური ინტერესთა ჯგუფების საქმიანობის პროცესში.

ასევე მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული საქართველოს როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკა და ცალკეულ კლანთა თუ ლობისტთა ეკონომიკური ინტერესები - უკანონო საგადასახადო შეღავათებით დაწყებული და პირადი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით ისედაც მწირი ეროვნული რესურსებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან მიღებული დახმარების არამიზნობრივად გამოყენებით დასრულებული.

მიუხედავად ამისა, და სწორედ ამ მიზეზთა გამოც, დამოუკიდებლობის წლებში საქართველოში ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებელი ისტებლიშმენტი. საქართველოს პოლიტიკური ელიტა, მართალია, დიდ (და ზოგჯერ გადაჭარბებულ) ყურადღებას უთმობს დიდი ქვეყნების ინტერესებსა თუ მოთხოვნებს, მაგრამ იგი მაინც აღარ წარმოადგენს ამა თუ იმ ზესახელმწიფოს ადგილობრივ ადმინისტრაციას. მოკლედ რომ ვთქვათ, საქართველოს ხელისუფლებამ (ვგულისხმობ სამივე ხელისუფლებას: გამსახურდია, შევარდნაძე, სააკაშვილი) შეიგრძნო რეალური ძალაუფლების გემო და, მიუხედავად იმისა, სახელმწიფო ძლიერი იქნება, სუსტი თუ, საერთოდ, შეუმდგარი, ქართული პოლიტიკური ელიტა ამ პრივილეგიას ძნელად თუ შეელევა.

ადგილობრივი ხელისუფლება

მმართველობის დახასიათებისას მოკლედ უნდა შევეხოთ ადგილობრივი ხელისუფლების - თვითმმართველობის მდგომარეობასაც.
დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც დღის წესრიგში დადგა, არის ცენტრისა და რეგიონების ურთიერთობა. როგორც ცნობილია, ჯერ რუსეთის იმპერიაში, ხოლო განსაკუთრებით შემდეგ, საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, ცენტრი განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდა. მძლავრი ბიუროკრატიული აპარატის არსებობა განაპირობებდა ქვეყნის პერიფერიების ცენტრისადმი უსიტყვო მორჩილებას.
რეგიონი, როგორც წესი, უსიტყვოდ ემორჩილებოდა ცენტრის ბრძანებებს. ასე ხდებოდა საბჭოთა სახელმწიფო სტრუქტურის ყველა დონეზე. რესპუბლიკათა თუ ავტონომიათა დედაქალაქები, ფაქტიურად, იგივე როლს თამაშობდნენ ამა თუ იმ ადმინისტრაციული ერთეულის ცხოვრებაში, რასაც ქვეყნის მასშტაბით მოსკოვი ასრულებდა.
1991 წლის 31 მარტის ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა არჩევნებიდან მოყოლებული, ქვეყანაში ხუთი მუნიციპალური არჩევნები გაიმართა (1991, 1998, 2002, 2006, 2010). ამ პერიოდში საქართველოში ყალიბდება თვითმმართველობის გარკვეული სისტემა, თუმცა, იგივე ცენტრალური ხელისუფლების სტრუქტურისაგან განსხვავები, აქ ბევრი რამ ჯერაც გაურკვეველია. ხშირია ურთიერთსაპირისპირო, ურთიერთგამომრიცხავი ცვლილებების მთელი რიგი, რის შედეგადაც თვითმმართველობა ან შედერებით ძლიერდება, ან, პირიქით, სუსტდება.
ყველა ეს ცვლილება - როგორც ზ.გამსახურდიას, ისე ე.შევარდნაძის და მ.სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ერთ მიზანს ისახავდა: მაქსიმალურად შეენარჩუნებინა ცენტრალური ხელისუფლების პირდაპირი თუ არაპირდაპირი კონტროლი ადგილობრივ ხელისუფლებაზე და საფუძველშივე გაენეიტრალებინა ქვემოდან წამოსული ყოველგვარი ინიციატივა, რასაც შეეძლო თუნდაც უმნიშვნელო პრობლემა შეექმნა პოლიტიკური ელიტის აბსოლუტური ბატონობისათვის.
"ვარდების რევოლუციის" შემდეგ გამოვლინდა თვითმმართველობათა ისედაც მიზერული უფლებების კიდევ უფრო შეზღუდვის ტენდენცია:

- 2005-2006 წლებში გაუქმებულ იქნა თვითმმართველობათა პირველი, ქვედა დონე (სოფელი, თემი, დაბა, ქალაქი) და ერთადერთ ადგილობრივ დონის ერთეულად სტალინურ პერიოდში შექმნილი რაიონი გამოცხადდა;
- შეიზღუდა თვითმმართველობათა უფლებამოსილებანი, ხოლოშემოსახლის წყაროები აბსოლუტურად ცენტრალიზებული გახდა;
- თვითმმართველობის უმთავრეს ფუნქციას, საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდებას უკვე ცენტრალური ხელისუფლება ახორციელებს - სოფელსა თუ დაბაში შადრევნისა და ავტობუსის გაჩერების აგებაც კი უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხორციელდება;
- აბსოლუტური ცენტრალიზაციის ტენდენციამ გააუარესა საზოგადოებრივი მომსახურების ხარისხი და ამ მომსახურების ღირებულების ზრდის პარალელურად;
- ადგილობრივ ხელისუფლებას, მოსახლეობასთან მუდმივი ურთიერთობისა და ამ უკანასკნელის ადგილობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ნაცვლად

მხოლოდ ერთ რამ ევალება - არჩევნების პერიოდში უზრუნველყოს მმართველი პარტიის სასარგებლოდ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობის მოგროვება.

დემოკრატიული მმართველობის ხარისხის შეფასება

საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემები აღნიშნავენ სიტუაციის მნიშვნელოვანი გაუარესების ტენდენციას. Freedom House-ის შეფასება ამის აშკარა დადასტურებას წარმოადგენს:

NIT Ratings	1997	1998	1999	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
Governance	4.50	5.00	4.50	4.75	5.00	5.50	5.75	n/a	n/a	n/a	n/a	n/a	n/a	n/a
National Governance	n/a	n/a	n/a	n/a	n/a	n/a	n/a	5.50	5.50	5.50	5.75	6.00	6.00	5.75
Local Governance	n/a	n/a	n/a	n/a	n/a	n/a	n/a	6.00	5.75	5.50	5.50	5.50	5.50	5.50

- თუ 1997 წელს ზოგადად დემოკრატიული მმართველობის ხარისხი 4.50 ქულით განისაზღვრებოდა, შემდგომ წლებში ეს მაჩვენებელი გაუარესდა 5.75-მდე (2004), ხოლო 2009-2010 წლებში, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისის პირობებში, ეროვნული დემოკრატიული მმართველობის ინდექსმა 6.00 ქულაც კი შეადგინა.
- 2011 წლისათვის ეს მაჩვენებელი ოდნავ გაუმჯობესდა (ეროვნულ დონეზე - 5.75 ქულა), რაც საერთაშორისო აქტორებისა და ქართული საზოგადოების ზეწოლის შედეგად ხელისუფლების ავტორიტარული მართვის სტილის ოდნავი შემსუბუქებით უნდა აიხსნას.
- რაც შეეხება ადგილობრივ დემოკრატიულ მმართველობას, მიუხედავად ამ მიმართულებით საკუთარი დანახარჯების მნიშვნელოვანი ზრდისა (210 მლნ. ლარი 2003 წელს, 1700 მლნ. ლარი - 2010 წელს), ცენტრიალური ხელისუფლების მიერ ადგილობრივი ფუნქციების მითვისებისა და ზეცენტრალიზაციის პოლიტიკის წყალობით, 2006 წლიდან მოყოლებული, დადებითი ძვრა არ შეინიშნება.

ერთადერთი სფერო, სადაც, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მონაცემები სერიოზულ პროგრასს აღნიშნავენ, არის უშუალოდ სახელმწიფო ინსტიტუციების ეფექტურობის განუხრელი ზრდა, მიუხედავად იმისა რომ ეს პროცესი 2007 წლის პოლიტიკურმა კრიზისმა და 2008 წელს რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ შეაფერხა:

Governance Indicator	1996	1998	2000	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
Voice and Accountability	35.6	37	42.3	35.6	39.9	44.2	45.7	43.3	37	36.5	42.2	42.7
Political Stability	8.2	8.7	18.8	13	11.5	19.7	25.5	18.3	25	17.3	18	24.5
Government Effectiveness	27.8	27.3	24.9	19.5	36.1	35.1	39.5	46.8	57.3	65	63.2	64.1
Regulatory Quality	18.1	28.9	33.3	20.1	25.5	35.3	31.9	51	59.7	64.6	66.5	70.8
Rule of Law	8.6	7.7	12.9	11	16.3	29.7	30.1	40.7	45.5	48.1	49.8	48.8
Control of Corruption	4.9	25.9	19.5	7.3	30.2	31.7	45.9	56.1	51.5	49	50.7	54.1

[*ქეთი და თენგო: აქ საინტერესო მონაცემებთან გვაქვს საქმე. 2008 წელს მსოფლიო ბანკის მონაცემები სხვა იყო და 2010 წელს მათ შეცვალეს - მონაცემთა გაყალბება მსოფლიო ბანკშიც "მოსულა" ;-). ასეა თუ ისე, ჩვენ ბოლო მონაცემებს უნდა დავეყრდნოთ, რადგან ვერ დავამტკიცებთ, რომ ადრე საიტზე სხვა ციფრები იყო*]

მონაცემები 2008 წელს (უბრალოდ შედარებისათვის) - Worldwide Governance Indicators, World Bank, 2008

	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008

ანგარიშვალდებულება	34.1	35.6	42.8	44.7	42.8	40.9	40.4
პოლიტიკური სტაბილობა	10.6	7.2	16.8	25	20.7	23.6	16.3
მთავრობის ეფექტურობა	23.2	27.5	40.3	39.3	48.3	55.5	61.6
რეგულირების ხარისხი	19.5	20.5	31.7	29.3	44.9	58.7	68.6
კანონის უზენაესობა	7.6	9	24.8	26.2	34.8	41	44
კორუფციის კონტროლი	6.3	15	31.1	43.2	51.5	48.8	50.7

სასამართლოს დამოუკიდებლობა

დამოულიდებლობის აღდგენის შემდეგ სასამართლო სისტემის ჩამოყალიბების გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 1995 წლის 1 აგვისტოს, როცა ხანგრძლივი დებატების შედეგად, პარლამენტმა მიიღო საქართველოს ახალი კონსტიტუცია. კონსტიტუციის თანახმად, საკანონმდებლო კონფლიქტების გადასაწყვეტად, დაარსებულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლო.
საკანონმდებლო აქტივობის შემდგომ მნიშვნელოვან საფეხურს წარმოადგენდა 1997 წელს მიღებული ორგანული კანონები: კანონი საერო სასამართლოების შესახებ (რომელმაც შეცვალოს 1991 წლის კანონით შექმნილი სასამართლო სისტემა) და კანონი სახელმწიფო მოწყობის შესახებ.
გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამოქალაქო, საგადასახადო და სისხლის სამართლის კოდექსებს, რომლებიც აგრეთვე 1997 წლის განმავლობაში იქნა მიღებული.
ამ კანონების ამოქმედებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ქვეყანაში სასამართლო სისტემის ფუნქციონირების ხარისხი, მაგრამ სასამართლო სისტემაში კორუფციის მაღალი დონით არსებობამ და სასამართლოს დამოკიდებულებამ აღმასრულებელი ხელისუფლების ინსტიტუტებზე შემდგომ წლებში ამ სტრუქტურის განვითარების შეფერხება გამოიწვია.
"ვარდების რევოლუციის" წინ, Freedom House-ის შეფასებით, სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი 4.50 ქულას უტოლდებოდა.

NIT Ratings	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
Judicial Framework/Independence	5.00	4.75	4.00	4.00	4.00	4.25	4.50	4.50	5.00	4.75	4.75	4.75	4.75	4.75	5.00

სამწუხაროდ, რევოლუციის შემდეგ, სიტუაცია უფრო გართულდა. თუ წინა წლებში სასამართლო გადაწყვეტილებების სამართლიანობაზე უარყოფითად მოქმადებდა კორუფციული მექანიზმების არსებობა, ამიერიდან, კორუფციის ხარისხის შემცირების პარალელერად, იზრდება აღმასრულებელი ხელისუფლების, პირველ რიგში საქართველოს პროკურატურის, არაფორმალური ზეწოლა მოსამართლეებზე.
ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი საკანონმდებლო ინიციატივა იყო პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული საკონსტიტუციო შესწორებები, რომლითაც შეიზღუდა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა, პრეზიდენტს მიეცა უფლება დაენიშნა და დაეთხოვა მოსამართლეები. ამავე დროს პრეზიდენტს მიენიჭა სასამართლოს ჩარევის გარეშე აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციაში შემავალი გადაწყვეტილებების მიღების უფლება, მათი კონსტიტუციასთან შეუსაბამობის შემთხვევაში.

მთლიანობაში სისტემამ დაარღვია ბალანსი ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის და გაზარდა მისი დამოკიდებულება პირადად პრეზიდენტის ნებაზე.
"ნულოვანი ტოლერანტობის" პოლიტიკამ, რომლის დეკლარირება მართალია 2006 წელს მოხდა, მაგრამ რეალურად სახელმწიფოს სათავეში ახალი ხელისუფლების მოსვლის მომენტიდან დაიწყო, სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი მნიშვნელოვნად შეამცირა (5.00 ქულა - 2005 წელს).
ქართული სასამართლო ხელისუფლება, ისევე როგორც საერთოდ ხელისუფლება, დადგა არჩევანის წინაშე: რა იყო უკეთესი - კანონის უზენაესობის დაცვა თუ საკითხის ეფექტური გადაწყვეტა, თუნდაც სასამართლო პროცედურების დარღვევის ხარჯზე.
სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპის შელახვის პირველ კლასიკურ მაგალითად ქართველი სპორტსმენების, მოჭიდავეების პროტესტის უგულვებელყოფა და სამაგალითო დასჯა შეიძლება მოვიტანოთ, რაც მოსახლეობის მეხსიერებაში "ბოქსიორთა აჯანყების" მეტსახელით დარჩა.
კანონის უზენაესობის პრინციპის უხეშ დარღვევად შეიძლება მივიჩნიოთ კრიმინალური ავტორიტეტების, ე.წ. "კანონიერი ქურდების" წინააღმდეგ განხორციელებული რეიდები და საჯარო პროცესები.
სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული სწორედ ამ და სხვა მსგავისი დარღვევების გამო, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ხარისხი 2006-2010 წლებში 4.75 ქულით შეფასდა, რაც ბევრად უარესია 1999-2001 წლების ანალოგიურ მაჩვენებელზე.
2011 წლისათვის მაჩვენებელი კიდევ უფრო გაუარესდა (5.00 ქულა). სავარაუდოდ ამაში გარკვეული წვლილი მიუძღვის სტრასბურგის ადამიანის უფლებაა სასამართლოს გადაწყვეტილებას სანდრო გვირგვლიანის მკვლელობასთან (2006) დაკავშირებით.

კორუფცია

კიდევ ერთი მაჩვენებელი, რომლითაც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ქვეყანაში სოციალური და პოლიტიკური განვითარების დონე იზომება, არის კორუფციის გავრცელების მაჩვენებალი.
გასული საუკუნის 90-იან წლებში ქართული საზოგადოების განსაკუთრებულ შეშფოთებას ყოველთვის იწვევდა კორუფციის მეტად ფართო გავრცელება სახელისუფლებო სტრუქტურებში და ის ფაქტი, რომ ამ პროცესის უკან ხშირად იდგნენ სხვადასხვა მაფიოზური კლანები. აღნიშნული პრობლემებს უქმნიდა არამარტო მოქალაქეებს და ბიზნესს, არამედ, საბოლოო ჯამში, მთელი სახელმწიფო სტრუქტურის არაეფექტურობის გამოხატულებად და იმავე დროს, მთავარ მიზეზად აღიქმეოდა.
სწორედ 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალებით გამოწვეულმა ხელისუფლების ლეგიტიმურობის კრიზისმა, ომში დამარცხებამ, ცხოვრების დონის მკვეთრმა დაქვეითებამ, კორუფციის ფართო გავრცელებამ გამოიწვია საზოგადოების პოლიტიკური ენთუზიაზმის თავდაპირველი ტალღის შეცვლა ხელისუფლებისაგან გაუცხოებისა და ცინიზმის გრძნობით.

"ვარდების რევოლუციის" განხორციელების შედეგად ქვეყანაში მოხდა ქართული საზოგადოების ტრანსფორმირების დაკვეთის ერთგვარი რეალიზაცია. ნეოპატრიმონიალურ, კლიენტელური სოციალურ-პოლიტიკური საზოგადოებრივი სისტემიდან, უსისხლო რევოლუციის შედეგად (ლოზუნგით: "საქართველო კორუფციის გარეშე"), უნდა განხორციელებულიყო ქართული საზოგადოების განვითარების ახალ სისტემაზე გადასვლა.
რევოლუციის შედეგად ხელისუფლებაში მოსულმა პოლიტიკურმა ძალებმა მართლაც მოახდინეს კორუფციასთან ბრძოლის დაწყების დეკლარირება და დაიწყეს საკმაოდ რადიკალური ქმედებები. სწრაფი ანტიკორუფციული რეფორმების მომხრე ახლად არჩეულმა პარლამენტმა მიიღო რამდენიმე კანონი, რომელთაც, როგორც ნავარაუდევი იყო, უნდა შეემცირებინათ კორუფცია შეკავების და გამოვლენის მექანიზმების წყალობით.
საკანონმდებლო ინიციატივებთან ერთად გატარებული იქნა გადამწყვეტი ღონისძიებები კორუმპირებული თანამდებობის პირების გამოვლენის და სასამართლო დევნის მიმართულებით.
ამავე დროს, ახალი ხელისუფლების მნიშვნელოვანი ანტიკორუფციული ძალისხმევა, რიგ შემთხვევაში, დაკავშირებული იყო მთელ რიგ პროცედურულ დარღვევებთან. საკუთარი ადმინისტრაციული ფუნქციების კონტროლის აღდგენის და კონსოლიდაციის მიზნით სახელმწიფო ინსტიტუტები გვერდს უვლიდნენ საქართველოს ზოგიერთი კანონის მოთხოვნებს და თავისი მოქმედების გამართლებას საქართველოში არსებული მდგომარეობით ცდილობდნენ.
პარლამენტში 2006 წლის საპრეზიდენტო გამოსვლის დროს პრეზიდენტმა მ.სააკაშვილმა განაცხადა, რომ სახელმწიფო სამსახურში მხოლოდ მერიტოკრატიული პრინციპით ხდებოდა შერჩევა, რაც, უკეთეს შემთხვევაში, პრეზიდენტის არაინფორმირებულობაზე მეტყველებდა. ამ მხრივ სიმპტომატური იყო სახელმწიფო სამსახურის ბიუროს და დამსახურების საფუძველზე სამსახურებრივი წინსვლის რეფორმირების მაგალითი: რევოლუციის შემდეგ შეიქმნა სახელმწიფო სამსახურის ბიუროს, სადაც ფუნქციონირებდა საზედამხედველო საბჭო და მოქმედებდა ოთხი ძირითადი დეპარტამენტი (ადამიანური რესურსების მართვის, კადრების მომზადების, ორგანიზაციული განვითარების, ატესტაციის და სერტიფიცირების). სამწუხაროდ, დაარსებიდან ერთი თვის შემდეგ სახელმწიფო სამსახურის ბიურო გაუქმებულ იქნა და მისი ფუნქციების ნაწილი გადაეცა იუსტიციის სამინისტროს.
მთავრობაში, ხშირ შემთხვევაში, ცალკეული გამონაკლისების გარდა, დანიშვნა გრძელდება "ძველი წესებით" - არ არსებობს ღია კონკურსი ნებისმიერ, სერიოზული მნიშვნელობის მქონე, ვაკანტურ თანამდებობაზე. განსხვავება ძველ და ახალ მიდგომებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ თითქმის ყველა ახლად დანიშნული პირები ახალგაზრდები არიან, სწავლობდნენ საზღვარგარეთ და აქვთ, კორუფციის თვალსაზრისით, "სუფთა" ბიოგრაფია.
ხელისუფლების ყველაზე უფრო მკვეთრი და აშკარად ანტიკორუფციული მოქმედებები გამოვლინდა იმ პირთა მასობრივ დაპატიმრებაში, რომლებიც კორუფციაში იყვნენ დადანაშაულებული. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ ყოფილი მინისტრები, მინისტრების მოადგილეები, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, სხვა სახელმწიფო მოხელეები და

ბიზნესმენები. ხდებოდა დაპატიმრებების ტელევიზიით ჩვენება, ნიღბიანი ადამიანების მიერ იარაღის და ძალის დემონსტრირება.
დაპატიმრებებთან დაკავშირებული კიდევ ერთი დიდი პრობლემა წარმოიქმნა თანხის გადახდის სანაცვლოდ ზოგიერთი დაპატიმრებულის გათავისუფლებით: ახალი კანონმდებლობა იძლევა უკანონოდ მოპოვებული ქონების კონფისკაციის უფლებას სასამართლოს სპეციალური გადაწყვეტილების შემდეგ, მას შემდეგ, რაც დადასტურდება, რომ ეს ქონება უკანონო გზით იყო შეძენილი. მრავალ დაკავებულთან მიმართებაში შეიძლება არსებობდეს ირიბი სამხილი, მაგრამ კორუმპირებული ქმედების დამტკიცება დღემდე არ არის დადასტურებული. სახელმწიფო მოხელეების განცხადებით, საფასურის გადახდით განთავისუფლებულთა ფული დაუბრუნდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს.
ქართული ხელისუფლების თვალსაზრისს, რომ კორუფცია მხოლოდ საჯარო მოხელის მიერ მოქალაქისაგან აღებული თანხაა, არ ეთანხმება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1979 წლის 17 დეკემბრის 34-ე სესიის ფორმულირება, რომლის მიხედვითაც, "კორუფცია არის ნებისმიერი ფორმის საზღაურის სანაცვლოდ, საზღაურის გამღების ინტერესებიდან გამომდინარე, თანამდებობის პირის მიერ, მისი თანამდებობრივი უფლებამოსილების სფეროში, გარკვეული მოქმედების შესრულება ან უმოქმედობა".
საქართველოში ნაკლებად მიმდინარეობს საუბარი თუნაც პოლიტიკურ კორუფციაზე, რომლის მიზანსაც სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების პირდაპირ ან არაპირდაპირ მოსყიდვა წარმოადგენს. ვგულისხმობ პოლიტიკურ კორუფციას, რომლის დროსაც ფული შეიძლება საერთოდ არ ფიგურირებდეს.
კორუფცია ოფიციალურ სტრუქტურებში ხშირად გამოიხატება ფავორიტი ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო თანხებისა და სხვა სახის რესურსების სხვადასხვა სახით გადაცემაში. ამავე დროს, მთავრობა სისტემატურად იყენებს კორუფციის ფაქტორს პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ და საკუთარი ძალაუფლების განმტკიცების მიზნით.
კლასიკურ მაგალითად ამ შემთხვევაში გამოდგება თავდაცვი ყოფილი მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის კორუფციაში დადანაშაულება, დაკავება და შემდეგ მოულოდნელი გაშვება.
და ბოლოს, ლათინური ამერიკისა და აფრიკის მთელი რიგი ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ბალანსის დარღვევა აღმასრულებელი ხელისუფლების სასარგებლოდ ხელს უწყობს ავტორიტარიზმისა და, შესაბამისად ელიტარული კორუფციის ზრდას. საქართველოს შესახებ ანალოგიურის მტკიცება ამ ეტაპზე ძნელია, ვინაიდან სერიოზული ანტიკორუფციული ანალიზი ბოლო წლების მანძილზე ჩვენთან არ ჩატარებულა.
თავისთავად "მასობრივი კორუფციის" შემცირება სრულებითაც არ ნიშნავს "ელიტარული კორუფციის" არარსებობას. როგორც წესი, ავტორიტარული მეთოდებით კორუფციის ყოველდღიურ გამოვლინებებთან ბრძოლა სწორედ ძალაუფლების ადამიანთა მცირე ჯგუფის ხელში თავმოყრას და ელიტარული კორუფციის აღმოცენებას უწყობს ხელს.
ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე უცვაურად აღარ გამოიყურება Freedom House-ის მონაცემები, რომლის თანახმადაც, 2007-2010 წლებში საქართველოში

კორუფციის ისეთივე დონე აღინიშნება (5.00 ქულა), როგორც ეს 1999-2000 წლებში იყო.

NIT Ratings	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
Corruption	5.00	5.00	5.25	5.50	5.75	6.00	5.75	5.50	5.00	5.00	5.00	5.00	4.75

Freedom House-ის მონაცემებს ავსებს Transparency International-ის მონაცემებიც (Corruption Perceptions Index (CPI)), რომელიც აჩვენებს მსგავსებას 1999-2002 და 2005-2006 წლებს შორის. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ინდექსი აჩვენებს საზოგადოებაში კორუფციის მოლოდინს და არა უშუალოდ კორუფციის დონეს.
ეს მაჩვენებელი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც გვიჩვენებს იმ ქვეყნებსაც, სადაც საზოგადოებას ანალოგიური განწყობები გააჩნია.

	Country Rank	CPI Score	High-Low Range
1999	84	2.3	< Ecuador, Russia = Albania, Kazakhstan
2002	85	2.4	< Albania, Guatemala, Nicaragua, Venezuela = Ukraine, Vietnam
2003	124	1.8	< Indonesia, Kenya = Angola, Azerbaijan, Cameroon, Tajikistan
2004	133	2.0	< Cameroon, Iraq, Kenya, Pakistan = Angola, Democratic Republic of Congo, Cote d´Ivoire, Indonesia, Tajikistan, Turkmenistan
2005	130	2.3	< Albania, Niger, Russia , Sierra Leone = Burundi, Cambodia, Republic of Congo, Kyrgyzstan, Papua New Guinea, Venezuela
2006	99	2.8	< Tanzania = Dominican Republic, Mali, Mongolia, Mozambique, Ukraine
2007	79	3.4	< Suriname = Grenada, Saudi Arabia, Serbia, Trinidad and Tobago
2008	67	3.9	<Kuwait = El Salvador, Ghana
2009	66	4.1	< Tunisia = Croatia, Kuwait
2010	68	3.8	< Rwanda. Italy > Brazil, Cuba, Montenegro, Romania

4. პოლიტიკური უფლებები და სამოქალაქო თავისუფლებები

პოლიტიკური უფლებები

პოლიტიკური უფლებების დახასიათებისას გამოიყენება ისეთი მახასიატებლები, როგორიცაა ქვეყანაში საარჩევნო პროცესები მდგომარეობა, პოლიტიკური პლურალიზმი და საზოგადოების მონაწილეობის ხარისხი და მთავრობის ფუნქციონირების მახასიათებლები.
ყველა ეს მაჩვენებელი უკვე იყო განხილული, ახლა შეიძლება განზოგადდეს ეს მონაცემები. Freedom House-ის თანახმად, პოლიტიკური უფლებების მდგომარეობის ამსახველი ქულა საქართველოში შემდეგნაირად იცვლება:

NIT Ratings	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
Political Rights Score	4	4	4	3	3	3	4	4	4	4

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ათწლეულში საქართველო შეუერთდა მთელ რიგ საერთაშორისო შეთანხმებებს და მიიღო შესაბამისი საკანონმდებლო აქტებიც, პოლიტიკური უფლებების რეალიზაციის მხრივ ქვეყანაში კარგი სიტუაცია ნამდვილად არ შექმნილა.
მაგალითისათვის:

- 1994 წლის 25 იანვარს საქართველო შეუერთდა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტს.
- 1994 წლის 14 ივნისს მიღებულ იქნა კანონი მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ, რომლის 24 მუხლის ძალით თუ ეროვნული კანონი ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისოს, უპირატესობა ამ უკანასკნელს ეძლეოდა.
- 1995 წლის კონსტიტუცია აღიარებდა ცენზურის არარსებობას (23-24 მუხლები), შეკრებების თავისუფლებას (25 მუხლი) და ა.შ., მაგრამ რეალური სურათი უმეტესწილად არ შეესაბამებოდა ქვეყნის ძირითად კანონს და ა.შ.

ყოველივე ამის გამო ჩვენი საუკუნის დასაწყისში პოლიტიკური უფლებების ქულა 4.00- უდრიდა.
აღსანიშნავია, რომ მთელ რიგ სფეროებში, სადაც საკმაოდ მძიმე სურათი იყო, "ვარდების რევოლუვიის" შემდგომ წლებში შესამჩნევი პროგრესი იქნა მიღწეული. 2004 წელს არჩევნების შედარებით სამართლიანად ჩატარებამ, საზოგადოებრივი ინტერესებისადმი ყურადღების გამახვილებამ, კორუფციასთან ეფექტური ბრძოლის დასაწყისმა და სახელმწიფო სტრუქტურების ეფექტურობის მნიშვნელოვანმა ზრდამ შედეგად ის მოიტანა, რომ საერთაშორისო მაჩვენებლებში საქართველოს სიტუაცია 3.00 ქულით შეფასდა (2005-2007).
სამწუხაროდ შემდგომ წლებში სიტუაცია კვლავ გაუარესდა. 2007 წლის ნოემბრის აქციების დარბევამ და საგანგებო ვითარების გამოცხადებამ (7-16 ნოემბერი) და მანიფესტაციების აკრძალვამ, დამოუკიდებელი ტელეკომპანია "იმედის" დახურვამ, 2008 წლის საეჭვო ლეგიტიმაციის მქონე არჩევნების ჩატარებამ გამმოიწვია "ვარდების რევოლუციის" დროს საზოგადოების უდიდეს ნაწილში გაჩენილი იმედებისა და ეიფორიის შეცვლა ფრუსტრაციითა და იმედგაცრუებით. ის გარკვეული წარმატებები, რაც ახალი ხელისუფლების მმართველობის პირველ წლებში განხორციელდა, მთელ რიგ სფეროებში სტაგნაციით და, გარკვეულწილად, რეგრესით შეიცვალა.

პოლიტიკური კონტექსტის დახასიათებისას როგორც საერთაშორისო ორგანიზაციები, ისე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები აღნიშნავენ სიტუაციის გაუარესების ტენდენციას, განსაკუთრებით 2007 წლიდან მოყოლებული.
შესაბამისად, პოლიტიკური უფლებების მაჩვენებელი საქართველოსათვის, 2008-2011 წლებში, კვლავ რევოლუციამდელ დონემდე, 4.00 ქულამდე დაეცა.

სამოქალაქო თავისუფლებები

სამოქალაქო თავისუფლებები იზომება ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა გამოხატვის თავისუფლება, კავშირების თავისუფლება, კანონის უზენაესობა, პიროვნების უფლებები.
სხვადასხვა კვლევების შედეგები გვიჩვენებენ, რომ:

- ***ასოციაციებისა და ორგანიზაციული უფლებების*** სფეროში, ბოლო ათწლეულის განმავლობაში, პროგრესი არ შეიმჩნევა. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც Freedom House-ის, ისე მსოფლიო ბანკის მონაცემები ადასტურებენ სიტუაციის გაუარესებას, სამოქალაქო საზოგადოებისათვის ეს ნაკლებ შესამჩნევია სხვა (ფინანსური პრობლემები, ცუდი შიდა მენეჯმენტი, საზოგადოების მხრიდან ნდობის უქონლობა) პრობლემებთან შედარებით.
- ***კანონის უზენაესობის პრინციპი და პირადი თავისუფლებები*** ხშირად იგნორირებულია ხელისუფლების მხრიდან. სახეზეა განსხვავება კანონმდებლობასა და ყოველდღიურ პრაქტიკას შორის. იკვეთება კანონმდებლობის თანდათანობითი გამკაცრების ტენდენცია. მაგალითად ე.წ. "საპროცესო გარიგებები" და ჯარიმები კარგა ხანია იქცა სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ.
- ***სამართლებრივი კონტექსტის სუბიექტური გამოცდილება*** უფრო ნეგატიურია, ვიდრე პოზიტიური. "სივიკუსის" ეგიდით 2008-2010 წლებში ჩატარებული ღირებულებათა კვლევის თანახმად ხშირია ყოველდღიურ პრაქტიკაში ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლებების მხრიდან არაკანონიერი და სამოქალაქო უფლებების შემზღუდავი ქმედებების დაფიქსირება (87.0%).

შედეგად პოლიტიკური უფლებების ანალოგიურად იცვლება სამოქალაქო თავისუფლებების ინდექსიც. თუმცა გარკვეული განსხვავებებით.

NIT Ratings	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
Civil Liberties Score	4	4	4	4	3	3	4	4	4	3

ის მძიმე სიტუაცია, რომელიც "ვარდების რევოლუციამდე" არსებობდა, ახალი ხელისუფლების მოღვაწეობის პირველ წლებშიც (2003-2005) განაგრძობს არსებობას. რეფორმების შედეგების (თუნდაც პოზიტიურის) გამოვლენას გარკვეული დრო დაჭირდა.
2005 წლიდან სამოქალაქო თავისუფლებების მაჩვენებლების ჯამი მიგვითითებს მდგომარეობის გამოსწორების ტენდენციაზე (3.00 ქულა 2006-2007 წლებში), თუმცა შემდგომ, წინა ქვეთავში ნახსენები მიზეზების გამო სიტუაცია კვლავ უარესდება (4.00 ქულა 2008-2010 წლებში).

აღსანიშნავია 2011 წლისათვის 3.00 ქულიანი მაჩვენებელი. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების წინ და შემდეგაც ხელისუფლებას ოპოზიციური მანიფესტაციების მიმართ აღარ გამოუმჟღავნებია ისეთი აგრესია, როგორც წინა წლებში. ამასთან სავარაუდოა, რომ 2012 წლისათვის 2011 წლის 26 მაისის მოვლენების გამო, მაჩვენებელი კვლავ გაუარესდება.

დემოკრატიის მაჩვენებლი

დაბოლოს, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს მთელ რიგ მაჩვენებლებში საქართველოს სოციო-პოლიტიკური კონტექსტის გაუარესება ბოლო სამი-ოთხი წლის მანძილზე. ამას განაპირობებდა როგორც ხელისუფლების მიერ განხორციელებული დარღვევები, ისე საზოგადოებაში ნიჰილისტური განწყობების ზრდა.
ყველა მაჩვენებლის შეჯერებით Freedom House-ს გამოყავს დემოკრატიის ქულა:

NIT Ratings	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
Democracy Score	4.17	4.33	4.58	4.83	4.83	4.96	4.86	4.68	4.79	4.93	4.93	4.86

როგორც ვხედავთ, აშკარაა ჯამური მაჩვენებლის თანდათანობითი გაუარესება ბოლო ათწლეულის მანძილზე. ის ოდნავი პროგრესი, რაც "ვარდების რევოლუციის" შემდგომ წლებში გამოჩნდა, მალე კვლავ რეგრესით იცვლება.
რაც შეეხება პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების გასაშუალებულ მონაცემს, Freedom House ქვეყანას 3.5 ქულას ანიჭებს და აღნიშნავს სამოქალაქო თავისუფლებების გაუარესების ტენდენციასაც.
ამ მაჩვენებლით საქართველო ნახევრადთავისუფალი ქვეყნების კატეგორიაში ხვდება აღმოსავლეთ ტიმორთან, ბანგლადაშთან, ბოსნია-ჰერცოგოვინასთან, კენიასთან, კოლუმბიასთან, კომორის კუნძულებთან, ლიბერიასთან, მალავისთან, მალდივის კუნძულებთან, მოზამბიკთან, პაპუა-ახალ გვინეასთან, სოლომონის კუნძულებთან და ზამბიასთან ერთად.
დაუბალანსებელი ხელისუფლება, ძლიერი აღმასრულებელი ფრთა და სუსტი ოპოზიცია აფერხებს დემოკრატიის განვითარებას; 2007 წლის შემდეგ შეიზღუდა საარჩევნო პროცესის თავისუფლება; აღინიშნება ძალადობა ოპოზიციონერთა მიმართ; შესუსტდა სამოქალაქო საზოგადოების კონტაქტები ხელისუფლებასთან; არ არსებობს დამოუკიდებელი ადგილობრივი დემოკრატიული მმართველობა; გაიზარდა სახელმწიფო სისტემის გაუმჭვირვალობის ხარისხი; მასობრივი კორუფციის შემცირების მიუხედავად, ელიტარული კორუფციის გამო, კორუფცია კვლავ 2000 წლის დონეზეა.
ძირითადად საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ:

- სოციალური და ეკონომიური განვითარების დონის მიხედვით, საქართველო აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებს წააგავს, ხოლო ადამიანური კაპიტალის განვითარების დონით (ადრე არსებული განათლების დონე, ცხოვრების სტილი) - ევროზონის ქვეყნების ზოგიერთ მაჩვენებელს უახლოვდება.

- 2007 წელს მშვიდობიანი მანიფესტაციების დარბევამ, 2008 წელს ჩატარებულმა არასამართლიანმა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებმა, 2008 წლის სამხედრო კონფლიქტმა რუსეთთან, რომლის დამწყებად საერთაშორისო საზოგადოება ქართულ მხარეს მიიჩნევს - მნიშვნელოვნად შეარყია ხელისუფლების იმიჯი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ.